# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 22 ოქტომბერი 2007 №244 (3167) ფასი 50 თეთრი


# ზესტაფონობა თბილისობაზე

## იონანიძემ დინამოს კიდევ გაუტანა

ზურაბ იონანიძე ის კაცია, ვისაც „დინამო“ არაერთხელ დაუმწუხრებია და გუშინ კიდევ ერთხელ აწყენინა. იონამ „მერანს“ ბოლო წამზე გაუტანა და ეს იგივე „დინამოს“ კარში გატანილი გოლი არ არის?! თბილისობა დღეს ამ გოლმა ფეროელები დინამოელების ნაცვლად გაათამაშა...





AFP

# ყინულის ფორმულა

„მაკლარენ-მერსედესი“ თითქმის ჩემპიონი იყო, მაგრამ ბოლოს გუნდში საქმე აირია, რითაც ხლართების დიდოსტატმა ჟან ტოდტმა ბრწყინვალედ ისარგებლა და ისე მოხდა, რომ ცხელ ბრაზილიაში ჩემპიონი „ყინულის კაცი“ კიმი რაიკონენი გახდა.

დებიუტანტი ლუის ჰემილტონი ვიცეობას დასჯერდა. 21 წლის წინანდელი ამბავი განმეორდა — მაშინ ნაიჯელ მენსელი თანაგუნდელ ნელსონ პიკეს მეტოქეობას გადაჰყვა და ჩემპიონი ალენ პროსტი გახდა, ხოლო წლეულს ჰემილტონმა და ფერნანდო ალონსომ ვერ გაიყვეს პირველობა და...

# მსოფლიო სამხრეთიდან იწყება






ზურაბ ხიზანიშვილმა „ბლექბერნში“ დიდი შესვენების შემდეგ პირველად ითამაშა




ალექსანდრე იაშვილის „კარლსრუემ“ „არმინიასთან“ ვერაფერი გააწყო — 0:0

# ნაშოტლანდიევს
## გამოჩნდა: სამი გოლი და ერთი ხიზანიშვილი

**შოტლანდიასთან** მოგების შემდეგ, უფრო ხალისით შევათვალიერეთ ქართველი ლეგიონერების შაბათ-კვირეული საკლუბო ამბები.

ალბათ სწორედ 17 ოქტომბრის გამარჯვებამ შეუცვალა აზრი „ბლექბერნის“ თავკაც მარკ ჰიუზს **ზურაბ ხიზანიშვილზე**, რაკილა, იკადრა და 36 წუთი მაინც ათამაშა. „ვარდებმა“ შინ 4:2 სძლიეს „რედინგს“ და ცხრილის ზედა ნაწილში ფუსფუსებენ, „ხიზანამ“ კი გარი უორნოკი შეცვალა.

რატომღაც უთამაშებელი დარჩა გიორგი შაშიაშვილი, ვისმა „შტურმმაც“ „ზალცბურგთან“ სტუმრად 1:4 დათმო. სავარაუდოდ, „შაშის“ სანაკრებო გადაღლის გამო არ ენდო გრაცელთა მწვრთნელი.

რუსეთში კი უნაკრებო ქართველმა გაიტანა: **მალხაზ ასათიანის** „ლოკომოტივი“ მე-4 წუთზე მოულოდნელად მდევრის როლში აღმოჩნდა „ლუჩ ენერგიასთან“, რაც **ლევან გვაზავას** ბრალია — „ლუჩის“ ნახევარმცველმა შორიდან მოჭრილი დარტყმით გაუტანა რკინიგზელებს. ასათიანმა 61 წუთი იბურთავა.

ჰო, ეს მატჩი 1:1 დასრულდა, „ლოკომოტივმა“ კი პროტესტი შეიტანა, ცუდად გვიმსაჯეს, პენალტი არ მოგვცესო.

გვაზავამ ითავმდაბლა და გოლი იღბალს მიაწერა: „შორიდან გამართლებაზე დავარტყი. რაც შეეხება ჩვენს კართან საპენალტე სიტუაციას, არავითარი წესის დარღვევა არ ყოფილა. მცველმა ბურთზე ითამაშა, ამაზე კი პენალტს არ დებენ.“

**ალეკო ამისულაშვილის** „ნალჩიკი“ ბოლო წუთზე გადაურჩა „ამკართან“ მარცხს (1:1). ქართველი მცველი 90 წუთი იყო მინდორზე.

სამარის „კრილიამ“ 3:0 გაანადგურა „რუბინი“, თუმც დავით მუჯირის წვლილი ნულის ტოლია: „მუმუ“ 89-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე. ყაზანელთაგან კი ოდენ პირველი ტაიმი ითამაშა **ლაშა სალუქვაძემ**, ხოლო **ნუკრი რევიშვილი** სათადარიგო გახლდათ.

გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში ქართველებს საამაყო არაფერი გაუკეთებიათ. „მიუნხენ 1860“-მა შინ „ფიურტთან“ 0:2 წააგო, **მათე ღვინიანიძემ** კი 90 წუთი ითამაშა, თუმც მსაჯის მიერ დამატებულ დროში გააძევეს — მეტოქე უხეშად მოცელა.

მათეს მცირე ტრავმა ჰქონდა და ამიტომაც გამოტოვა სანაკრებო შეხვედრები.

„პადერბორნის“ თავკაცი ფოლგერ ფახი კი გვაოცებს: დავიჯეროთ, დავით სირაძეზე უკეთესი თავდამსხმელი ჰყავს? საქართველოს ნაკრების მეგოლედ ქცეული სირაძე მხოლოდ 57-ე წუთზე შევიდა „კარლ ცაისთან“ შეცვლაზე, იენელთაგან კი არც ერთ ქართველს არ უთამაშია.

მატჩი 2:2 დასრულდა, ეს ორივე გუნდი კი გასავარდნ ზონაშია.

„ფრაიბურგმა“ **ოთარ ხიზანეიშვილის** გარეშე 2:0 სძლია „ზანკტ პაულს“ და ლიდერთა ჯგუფშია.

უკრაინაში **ოთარ მაცვალაძისა** და **კახა ალადაშვილის** „ზაკარპატიე“ კიევის „დინამოს“ ეომა და ოდენ 0:1 წააგო. ალადაშვილს არ უთამაშია, მარცვალაძემ კი 90 წუთი ითამაშა და ერთხელ ისეთი დაარტყა, კიეველთა მეკარე ალექსანდრ შოვკოვსკის დიდებული ნახტომი რომ არ გაეჭიმა, ლამაზი გოლი გავიდოდა.

**ვასილ გიგიაძემ** 52 წუთი იბურთავა „ნაფტოვიკი“ — „ზარიას“ მატჩში (0:0), ლუგანსკელთაგან **გიორგი ციმაკურიძემ** სრულად ითამაშა, **ლადო ბურდულმა** კი — ტაიმნახევარი.

ბურდული ერთ-ერთი ყველაზე აქტიური იყო.

**დავით კვირკველიას** „ზაპოროჟიემ“ შინ 0:2 დათმო ოდესის „ჩერნომორეცთან“. ქართველმა მარცხენაფლანგელმა შეუცვლელად ითამაშა, თუმც გამორჩეული არ ყოფილა.

„დნიპრომ“ შინ 2:1 სძლია „ტავრიას“ და მეორე ადგილი შეინარჩუნა. **ჯაბა კანკავა** 53-ე წუთზე შევიდა მინდორზე, თუმც მნიშვნელოვანი არაფერი გაუკეთებია.

აზერბაიჯანში, **ალეკო გოგობერიშვილისა** და **ამირან მუჯირის** „ბაკიმ“ 5:1 მიანგრია ვლასტიმილ პეტრჟელას გაწვრთნილი „ნეფთჩი“. მეხუთე გოლი „მენავთობეებს“ მუჯირმა გაუტანა — შორიდან თავზე გადაუგდო ბურთი მეკარეს. წაგებულთაგან კი **გიორგი ადამია** შეცვლაზე შევიდა და ერთხელ, 1:3-ზე შეეძლო გატანა, თუმც მეკარემ აუღო.

შავ დღეშია „მილანი“ — ამასწინათ „ლაციოს“ 5:1 კი მოუგო, თუმც მხოლოდ გამოუნათებია, ახლა კი ბნელეთში „ემპოლიმ“ დააბრუნა.

„როსონერიმ“ 0:1 წააგო, **კახა კალაძე** 67-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე და რამდენჯერმე ჩაერთო მწვავედ შეტევებში, მაგრამ ტოსკანელთა დაცვას ვერაფერი მოუხერხა.

და ერთიც: მოლდოვის ჩემპიონატში „დაჩიამ“ სტუმრად 1:0 მოუგო „ზიმბრუს“ და ეს ერთადერთი გოლი **ვიტალი დარასელიამ** გაიტანა.

**ილია ნანობაშვილი**

# შიდაქართლური ამბები
## სიონი იყიდება, ფოლადი ნათდება

**ჰოლანდია — ლატვიის** 19-წლამდელთა მატჩს ესწრებოდა შიდა ქართლის გუბერნატორი ზურა მელიქიშვილი. ცხადია, ეს შანსი ხელიდან არ გავუშვით და მას ბოლნისის „სიონის“ ბედზე ვკითხეთ: „კომპანია „მადნეული“ საქართველოს ეროვნული ნაკრების გენერალური სპონსორი რომ გახდა, გეცოდინებათ. „მადნეული“ „სიონს“ ნაწილობრივ აფინანსებს, დანარჩენი თანხა კი ბიუჯეტით ეძლევა კლუბს. მომავალი წლიდან ბიუჯეტზე არც ერთი კლუბი აღარ იქნება დამოკიდებული და მინდა გითხრათ, რომ ბოლნისის „სიონით“ ერთ-ერთი მძლავრი უცხოური კომპანიაა დაინტერესებული. მის ვინაობას მალე შეიტყობთ. აქვე გეტყვით რუსთავის „ოლიმპზეც“ — უკვე გაკეთდა სასტუმრო და უახლოეს ხანში გვექნება პრეზენტაცია. „ფოლადის“ სტადიონზე კი გავაკეთეთ ღამის განათება და უახლოესი ტურის მატჩს „ოლიმპი“ ღამით ითამაშებს“.

**ნუკრი ლოლაძე**

## საქართველოს 19 ჩემპიონატი
### პირველი ლიგა 10 ტური

**აღმოსავლეთი**

ნ. დიდ-მერანი 2 1:3 მეშაქრე
ჩიხურა 1:2 ოლიმპი 2
კახეთი 4:0 ამერი 2
დინამო 2 4:2 ოლიმპიკი
ვიტ ჯორჯია 2 0:2 გაგრა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გაგრა | 10 | 6 | 3 | 1 | 20:15 | 21 |
| მეშაქრე | 10 | 6 | 1 | 3 | 21:14 | 19 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 10 | 4 | 4 | 2 | 12:6 | 16 |
| დინამო 2 | 9 | 4 | 3 | 2 | 16:10 | 15 |
| ამერი 2 | 10 | 4 | 2 | 4 | 16:16 | 14 |
| ოლიმპი 2 | 9 | 3 | 3 | 3 | 11:8 | 12 |
| ოლიმპიკი | 10 | 3 | 3 | 4 | 15:17 | 12 |
| კახეთი | 10 | 3 | 3 | 4 | 12:14 | 12 |
| ჩიხურა | 10 | 3 | 3 | 4 | 10:15 | 12 |
| ნ.დიდ-მერანი 2 | 10 | 0 | 1 | 9 | 7:25 | 1 |

**დასავლეთი**

ხობი 3:0 მეშახტე
მაღაროელი 3:1 ტორპედო
უნივერსიტეტი 0:1 მარტვილი
კოლხეთი 0:1 სამტრედია
ზესტაფონი 2 — ფაზისი
გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაღაროელი | 10 | 8 | 2 | 0 | 23:7 | 26 |
| მეშახტე | 10 | 7 | 0 | 3 | 19:18 | 21 |
| მარტვილი | 10 | 5 | 3 | 2 | 11:6 | 18 |
| ტორპედო | 9 | 3 | 3 | 3 | 14:12 | 12 |
| კოლხეთი | 10 | 3 | 3 | 4 | 12:13 | 12 |
| ზესტაფონი 2 | 8 | 3 | 2 | 3 | 12:8 | 11 |
| ხობი | 10 | 3 | 2 | 5 | 11:16 | 11 |
| უნივერსიტეტი | 10 | 3 | 1 | 6 | 7:10 | 10 |
| ფაზისი | 9 | 2 | 2 | 5 | 14:18 | 7 |
| სამტრედია | 10 | 1 | 2 | 7 | 10:25 | 5 |

გიო ახვლედიანის
სვეტი

# ხვალის ამბავი

ამ ქარ-წვიმაში გამოხვეულ ოთხშაბათს, როცა ქალაქი სავსე იყო მთვრალი, მხიარული, კაბიანი ხალხით და ადგილობრივი პოლიტიკური გაქაჩვა-გამოქაჩვით, მოხდა დიდებული ამბავი: საქართველოს ნაკრებმა მოუგო შოტლანდიის ნაკრებს.

ეს მოულოდნელი ამბავი იყო ჩვენი ნაკრების ბოლო ნახევარი წლის იერიდან გამომდინარე, მაგრამ ეს მოსალოდნელი ამბავი იყო იმათთვის, ვინც იცოდა, რომ ნაკრების ახალი ბიჭები ნამდვილი მოთამაშენი არიან. ნამდვილ-ახლებური მოთამაშენი.

ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში საქართველოს ნაკრებს ეტყობოდა დაბნეულობა, უსახურობა, უილბლობა და რაღაც გაურკვევლობაც.

აბა, უყურეთ, როგორ ითამაშა ჯაბა კანკავამ, როგორია ხოლმე ხიზანა საუკეთესო ფორმაში, როგორი პროფესორია ასათიანი, რომლის შენს ნახევარზე ყოლა დიდი ფუფუნებაა, როგორია, როცა 17 წლისა დგები ნაკრების კარში?

იცით, რა?

ეს დიდებულია, როცა გყავს მჭედლიძე, სირაძე და ყენია. იმედიც ეს არის და მოულოდნელიც, იმიტომ, რომ ისეთი ლაღი და პირდაპირი აგრესიულობა, ასეთი სულ წინ ყურება ჩვენს გუნდს იშვიათად უჩვენებია. კი, ეს ბიჭური იყო. ბიჭებში მარტივადაა: მათ გოლები უნდათ. მაგრამ ფეხბურთიც ხომ ასეა. აბა, რატომ გაგვეხარდა? მარტო იმიტომ, რომ მოვიგეთ? მგონი, იმიტომაც, რომ ასე მოვიგეთ, ყმაწვილურ ნიჭსა და უნარებზე დაყრდნობით.

ეს კარგი საღამო იყო და ვგებ უკეთესი საღამოებიც წინ გველოდება ერთი წლის შემდეგ. ღმერთმა ქნას!

უბრალოდ, საქართველომ კარგად უნდა შეუზავოს ეს ბიჭები ძველებს. მთელი თამაში სულ იმას ვფიქრობდი, ოღონდ ცენტრში ბურთი არ გაჩერდეს, ოღონდ ზოზინი არ დავიწყოთ, გახედ-გამოხედვა და მერე უკან ჩაგორება და გაუშვი, დავკარგოთ-თქო. ბურთიც ჩვენი იყო, ცენტრიც და ეს ბურთი ისე კოხტად გადადიოდა მეტოქის ნახევარზე, რომ შენი მოწონებული. ეს ყველაფერი ხვალინდელი დღისთვისაა.

კარგი დღე იქნება, ასე ჩანს.

# საქართველოს 19 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

I წრე. 9 ტური



ზურაბ იონანიძის (№19) გოლი

ვაჟიკო იორდანიშვილის ფოტოები



იმერლებს გოლის გატანამდე სხვა პრობლემებიც ჰქონდათ

# გამარჯვების იონი

## მერანმა იბრძოლა, იკოტრიალა და... წააგო

**ნუკრი ლოლაძე**

**მეცხრამეტე** ეროვნულში „ზესტაფონს" პირველად მიეცა შანსი, ცხრილის თავში წამოსკუპებულიყო და გამოიყენა კიდეც. თბილისში უეჭველი სამი ქულისთვის ჩამოსულმა იმერლებმა აუტსაიდერ „მერანთან" მხოლოდ ბოლო წუთზე მოახერხეს მიზნის მიღწევა.

პირველ ნახევარში „ზესტაფონი" სულაც არ ჰგავდა ჩემპიონატის ფავორიტს, რალაც უფხოდ თამაშობდა, „მერანი" კი პირიქით — მთელი სულით და გულით ირჯებოდა და არაფერს არ უთმობდა ფავორიტს.

ასპროცენტიანი ხაგოლე შანსი პირველ 45 წუთში არც ერთ გუნდს არ ჰქონია. თვალში საცემი ის იყო, რომ მასპინძელთა მწვრთნელმა დავით ეჯიბიშვილმა მარჯვენა მცველის პოზიციაზე ამპლუით თავდამსხმელი ვლადიმერ გოჩაშვილი გაამწესა.

27-ე წუთზე ზესტაფონელი ედიკ საჯაია შესაცვლელი შეიქნა, მის მაგივრად გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე შევიდა და გადანაცვლებაც მოხდა — როინ ონიანი მარჯვენა მცველი გახდა, ხოლო მისი ადგილი ნახევარდაცვის ცენტრში ნუგზარის ძემ დაიკავა. სანამ საჯაიას შეცვლიდნენ, მანამდე მისი თავიდან ასხლეტილი ბურთი გრიგოლ ჭანტურიას კარის ხარიხასაც კი მოხვდა.

მეორე ნახევარში კი „ზესტაფონი" გამოფხიზლდა და „მერანის" მცველებმა შეცდომების დაშვება დაიწყეს.

54-ე წუთზე ჭანტურიამ თავისი ბაქნიდან ბურთს მძლავრად ამოსცხო და გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე პირისპირ დარჩა რევაზ თევდორაძესთან, რომელსაც ბურთი თავზე გადაუგდო, გოლი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ გამოცდილმა თენგიზ კობიაშვილმა კარის ხაზიდან შეძლო ბურთის გამოტანა.

კიდევ ერთი საგოლე შანსი მიეცა „პაჭელოს". გოგი ფიფიამ ნუგზარის ძე ჭელიძეს მიაწოდა, მან — სახელგვარიან სეხნიას, თუმც „პაჭელოს" თევდორაძემ არ გაატანინა.

„მერანი" კონტრშეტევაზე თამაშს ცდილობდა. 64-ე წუთზე ბურჯანაძემ კარგი პასი გადააწოდა ქემაშვილს, თუმც ვიეირამ წაიკითხა სიტუაცია და გუნდს ხიფათი აარიდა.

მალე ირაკლი შენგელიასაც მიეცა კონტრიერიშის საშუალება, მაგრამ დააყოვნა.

თბილისელებს აშკარად დაეტყოთ დაღლა — დავით გიგაურმა უხეში შეცდომა დაუშვა და შეცვლაზე შესულ ჭელიძეს მართებდა გატანა, მაგრამ თევდორაძემ ისევ იყოჩაღა.

69-ე წუთზე მოედანზე ზურაბ იონანიძე შევიდა და მალევე კარშიც დაარტყა, მაგრამ ააცილა.

არც ისე დიდი დრო რჩებოდა მატჩის დასრულებამდე, „ზესტაფონისთვის" კი ფრე წაგების ტოლფასი იყო.

„მერანის" ფეხბურთელებსაც ერთმანეთის მიყოლებით ეჭიმებოდათ კუნთები და მინდორზე დიდი კოტრიალი დაიწყო.

**თბილისი. 21 ოქტომბერი. 15 საათი. მერანი. 800 მაყურებელი**

**მერანი 0:1 ზესტაფონი**

| | |
|---|---|
| 0:1 იონანიძე (90) | |
| **მერანი:** თევდორაძე, გიგაური, თ. კობიაშვილი, სარალიძე, გოჩაშვილი, ჯანგიძე (კობერიძე 90), ფურთუხია, ტყეშელაშვილი (ქოქიაშვილი 67), ქემაშვილი (იაგო დეისაძე 90), ბურჯანაძე, ი. შენგელია<br>სათადარიგონი: სეფიაშვილი, ბ. ნოზაძე, ლ. გრიგალაშვილი, იაკობ დეისაძე<br>**მწვრთნელი:** დავით ეჯიბიშვილი | **ზესტაფონი:** ჭანტურია, ს. თოდუა, ე. საჯაია (გ. ნუგ. ჭელიძე 27), რ. ონიანი, შ. ლონლაძე, ტორესი, კ. ჩხეტიანი (ბიტოო 78), კესანი, ვიეირა (იონანიძე 69), ფიფია, გ. ნოდ. ჭელიძე<br>სათადარიგონი: ჯალალონია, ნ. კვასხვაძე, გ. ხიდეშელი, ბ. გოცირიძე<br>**მწვრთნელი:** თემურ მახარაძე |
| **გაფრთხილება:** ფურთუხია (39), ვიეირა (48), ჭანტურია (72), თევდორაძე (87), დეისაძე (90) | |
| **მსაჯები:** ლ. კვარაცხელია; ლ. მიქელაძე; ლ. თოდრია; ი. ურუშაძე | |
| **დამკვირვებელი:** ე. სილაგავა | |

ბუნებრივია, იმერლები უკმაყოფილებას გამოთქვამენ, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა.

პოლ კესანის მარჯვენიდან ჩაწოდებულ ბურთს „იონამ" დაარტყა თავური, მაგრამ ააცილა.

უკვე დამატებული წუთები მიდიოდა და თბილისის „დინამო" ისევ ცხრილის თავში იყო...

ჭანტურიამ საჯარიმოში ჩააწოდა, შალვა ლონლაძემ საჰაერო ბრძოლა მოიგო და... იონანიძე!

ზურაბის დარტყმულს თბილისელთა გოჩაშვილი ბადეშილა ჩაუწვა — 0:1 და ლიდერი „ზესტაფონია".

და ერთიც: მატჩის წინ ჟურნალისტებისთვის კაციშვილს არ გახსენებია ოქმის დარიგება, მატჩის შემდეგ კი — პრესკონფერენციის ჩატარება.

# ისევ ფრანგები და ისევ 3:5

**17 ოქტომბერს** საქართველოს ფუტსალის ნაკრებმა საფრანგეთის ქალაქ ნიცაში მეორე ამხანაგური შეხვედრაც ჩაატარა მასპინძელთა ნაკრებთან და ამჯერადაც 3:5 დამარცხდა.

ჩვენებურთაგან გოლები ასათიანმა, ნეფარიძემ და ბოკერიამ გაიტანეს.

შეგახსენებთ: საქართველოს ფუტსალის ნაკრებმა ერთი დღით ადრე ქალაქ კანში ჩაატარა პირველი მატჩი და მაშინაც 3:5 დამარცხდა.

შარშან საფრანგეთის ნაკრებმა თბილისში გამართა ორი შეხვედრა: პირველი მატჩი ქართველებმა 4:0 მოიგეს დასრულდა, მეორეში კი ფრე (1:1) დაფიქსირდა.

**ბაჩა ზალამბერიძე**

# თვალი თვალი

ეროვნულ სტადიონზე ადგილთა წყებაში ეს სიცარიელეები, ცხადია, შემთხვევით არ გაჩენილა. გულშემატკივრებმა, რომლებიც იქ ისხდნენ, ეტყობა, ჩათვალეს, ჩვენ უკვე ვისხედით და ჩვენს მერე ვინც მოვა, თავში ქვა იხალონო. ასე მოფიქრალი გულშემატკივარი კი, დაგვეთანხმებით, გულშემატკივარი სულაც არ არის. ერთიც: სკამები შოტლანდიასთან მოგებული თამაშისას დაიმტვრა. ანუ შენი გუნდი მოიგებს თუ წააგებს, მნიშვნელობა არ აქვს — მათ სკამების მტვრევა ანიჭებთ სიამოვნებას.

ოღონდ, ისე არ გაგვიგოთ, თითქოს წაგებული თამაშების მერე სკამების მტვრევის მომხრეები ვიყოთ...



*გურამ დოლენჯაშვილის ფოტო*

# საქართველოს 19 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

I წრე. 9 ტური



რუსთაველთაგან პირველი გოლი ვლადიმერ დვალიშვილმა გაიტანა

# რუსთაველი გამიტანე-გაგიტანე

## მგლებმა ლუკმა ბოლოს გააგდეს

რუსთავი. 21 ოქტომბერი. 15 საათი. ფოლადი. 800 მაყურებელი

**ოლიმპი 2:1 მგლები**

1:0 დვალიშვილი (65), 1:1 ჭედია (82), 2:1 ჯიქია (88)

| | |
|---|---|
| ოლიმპი: მერლანი, დევდარიანი, ჩივაძე (თივკოვიჩი 46), ორბელაძე, ნავალოვსკი (კოშკაძე 69), კახელიშვილი, სილაგაძე, ლ. ქებაძე, დვალიშვილი (მასუანგა 76), რ. ჯიქია, მახვილაძე სათადარიგონი: მ. ალავიძე; აკუასაგა, მგელაძე, ყურაშვილი მწვრთნელი: ანატოლი პისკოვეცი | მგლები: ივარდავა, უქონია (წურწუმია 74), ნარსია, მაჭავარიანი, კაკაბაძე (ბაკარანძე 66), ქირია (ლიპარტია 80), გაბედავა, ვართაგავა, კუტალია, ხუბუა, ჭედია სათადარიგონი: ჭითანავა; ქომეთიანი, ხუხია, ჭკადუა მწვრთნელი: ბესიკ შეროზია |

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; გ. ჩიგოგიძე; ი. უკლება; ვ. ელისაბედაშვილი

**კობა ინასარიძე რუსთავიდან**

**საქართველოს** ჩემპიონისა და უმაღლესი ლიგის დებიუტანტის ეს რუსთაული მატჩი ბევრ საინტერესოს გვპირდებოდა, მაგრამ არც მთლად ისეთი დაძაბული და ეშხიანი თამაში გამოვიდა...

შეხვედრის ბოლო 10 წუთში მეტოქეებმა თითო გოლი გაიტანეს და მაშინ თუ გამოცოცხლდა „ფოლადის" დასავლეთ ტრიბუნაზე მოკალათებული ორივე გუნდის ქომაგობა, თორემ იქამდე, „ოლიმპის" პირველი გოლის გარდა, არც მასპინძლებს, არც სტუმრებს ერთმანეთი მაინცდამაინც არ შეუწუხებიათ.

საწყისი 20 წუთი კი მთლად მოსაწყენი თამაში იყო. „ოლიმპის" მწვრთნელმა ძირითად შემადგენლობაში ერთი უცხოელიც არ დააყენა, ხოლო ზუგდიდის „მგლებს" სასტარტოს ორი ფეხბურთელი, ზამირ ჯანაშია და გიორგი კრასოვსკი აკლდა. ბესიკ შეროზიას გუნდს წინ ერთი ფორვარდი — გიორგი ჭედია ჰყავდა, ანატოლი პისკოვეცმა კი თავდასხმაში რევაზ ჯიქია და ლადო დვალიშვილი გაამწესა.

„მგლები", ცხადია, საკუთარ კარზე მეტს ფიქრობდა, ვიდრე შეტევაზე, თუმცა უკანმოუხედავად არც „ოლიმპი" უტევდა. თამაში მეტწილად მოედნის შუაში იყო, ბურთი ხშირად გადადიოდა მეტოქიდან მეტოქისკენ. ამასობაში კი რეალური საგოლე მომენტიც ვნახეთ. დვალიშვილი მანუჩარ ივარდავას ცხვირწინ დარჩა, თითქოს კარგადაც დაარტყა, მაგრამ ბოლო წამს მეკარემ იყოჩაღა და ბურთი მოიგერია, რომელიც იქვე გიორგი კახელიშვილთან მიგორდა. „ოლიმპის" მარჯვენაფლანგელმა ცარიელ კარში დაარტყა, ზედ ხაზზე კი ბურთს მცველი გადაელობა და კახელიშვილს გატანა არ დაანება.

ამის შემდეგ თამაში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, თუმცა მასპინძლები შედარებით უფრო გააქტიურდნენ და ნელ-ნელა მეტოქის ნახევარზე გადაინაცვლეს. სტუმრებს სულ უფრო უჭირდათ მირზა მერლანის კართან მიახლოება.

ტაიმის ბოლოს „ოლიმპის" უპირატესობა უკვე თვალშისაცემი გახდა, ბურთი რუსთაველების იყო, შეტევაც შეტევაზე მიჰქონდათ, მაგრამ „მგლების" კარს რეალურად ვერავინ დაემუქრა, გადამწყვეტ მომენტში თავდამსხმელები სცოდავდნენ, მცველები კი ბურთს, საითაც მოუხვდებოდათ, იქით ურტყამდნენ.

შესვენების შემდეგაც თამაში „ოლიმპმა" წაიყვანა. მასპინძლებმა შეტევა გაამწვავეს და რამდენიმე უშედეგო იერიშის შემდეგ გოლიც გაიტანეს: თამაშის განახლებიდან 20 წუთში შეცვლაზე შესული სერბი გამთამაშებელი ვლადან ჟივკოვიჩი მეტოქის საჯარიმოში მარცხნიდან შექანდა და მცველებს უკან დარჩენილ დვალიშვილს ბურთი კარის წინ დააუგორა — ოლიმპელთა ფორვარდმა შორეულ კუთხეში შეუჩერებლად და ზუსტად დაარტყა.

მიღებული გოლის შემდეგ „მგლები" ცოტა გამოცოცხლდა, მწვრთნელმა საქმეში მეორე ფორვარდი პაატა ბაკარანძეც ჩართო, მაგრამ ზუგდიდელებს სახეირო მაინც არაფერი გამოსდიოდათ.

მოგვიანებით პისკოვეცმაც გადაწყვიტა შეცვლის გაკეთება. დვალიშვილს ბოდრი მასუანგა ამჯობინა. რამდენიმე წუთში კი „ოლიმპმა" გოლიც მიიღო. საკმაოდ შორიდან მირზა მერლანს ჯარიმიდან ლევან ვართაგავამ დაურტყა, მეკარეს ბურთი ხელებიდან გაუვარდა, დამატებაზე გიორგი ჭედიამ იყოჩაღა და ანგარიში გაათანაბრა — 1:1.

მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთი იყო დარჩენილი და, ცხადია, მასპინძლებმა ბოლო ძალებით შეუტიეს, საწადელსაც მიაღწიეს. ალექსანდრე კოშკაძემ მარცხენა ფლანგიდან ჩააწოდა, კარის წინ კი რევაზ ჯიქიამ მცველებს დაასწრო და გამარჯვების გოლი გაიტანა.

„მგლების" მცველები, ისევე, როგორც „ოლიმპის" პირველი გოლისას, უხეშად შეცდნენ, რითაც ისარგებლეს კიდეც მასპინძლებმა და მოგების გემო გაიხსენეს.

გორი. 20 ოქტომბერი. 15 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 200 მაყურებელი

**სპარტაკი 0:2 მესხეთი**

0:1, 0:2 ინასარიძე (44, 60)

| | |
|---|---|
| სპარტაკი: კოდალაევი, ბახტურიძე, ქემოკლიძე, ხაჭიპერიძე, მამუკაშვილი (გოგოლაძე 68), ხიდეშელი (კეტაშვილი 74), ჯანელიძე, ჩირიკაშვილი, გოგოხია, ძარია, დარბაიძე (მედოევი 79) სათადარიგონი: ქვილითაია; ტატაევი, კუპრეიშვილი, თურმანიძე მწვრთნელი: კობა ჟორჟიკაშვილი | მესხეთი: გ. ძამსაშვილი, ლეკიშვილი, ქვანია, გ. ნადირაშვილი, ზ. ძამსაშვილი, ზ. ჩხეტიანი, მ. თაყაძე, გ. თურმანიძე (კობესაშვილი 79), ინასარიძე (კეველიშვილი 87), მ. ლონლაძე (სუდაძე 85), გვირჯიშვილი სათადარიგონი: ციხელაშვილი; ვ. აკოფიანი, პ. აკოფიანი, კაიდარაშვილი მწვრთნელი: კობა თედიაშვილი |

გაფრთხილებები: ნადირაშვილი (33), ლონლაძე (40), ჩხეტიანი (45), ხიდეშელი (57), ხაჭიპერიძე (79), ძარია (88)

მსაჯები: ლ. სილაგავა; ზ. ჯვარიძე; ა. კოკაია; ვ. გუმბერიძე

# ორი კობა სირთულეზე შეთანხმდა

**ტარიელ შოთნიაშვილი გორიდან**

**უმაღლესი** ლიგის დებიუტანტების მატჩმა საკმაოდ დაძაბულ ბრძოლაში ჩაიარა.

მეტოქეებმა ყოველგვარი „დაზვერვის" გარეშე შეუტიეს ერთმანეთს, მაგრამ მეკარეებს თამაშის დასაწყისში დიდი სამუშაო არ ჰქონიათ, რადგან ორივე გუნდის დაცვა ყურადღებით და უშეცდომოდ თამაშობდა.

ბურთი, ძირითადად, მოედნის ცენტრში მოძრაობდა, თუმცა მე-6 წუთზე ვიად ჩხეტიანმა შორეული დარტყმით შეამოწმა ბესიკ კოდალაევის სიფხიზლე, ხოლო ათიოდე წუთის შემდეგ ირაკლი ჩირიკაშვილმაც შექმნა კარგი მომენტი, მაგრამ სიზუსტემ უმტყუნა.

თანდათან „მესხეთის" მცირე უპირატესობა გამოიკვეთა და 25-ე წუთზე პაატა გვირჯიშვილის ფლანგური ჩაწოდების შემდეგ გიგა ქვანიამ ახლოდან თავით, ოღონდ არაზუსტად დაარტყა.

ტაიმის ბოლო წუთებმა ახალციხელთა შეტევებში ჩაიარა და შედეგმაც არ დააყოვნა.

42-ე წუთზე გვირჯიშვილმა მახვილი კუთხიდან მოულოდნელად დაარტყა „სპარტაკის" კარში და ბურთი ხარიხამ აისხლიტა, ხოლო ორი წუთის შემდეგ ფლანგიდან მიხეილ თაყაძემ მშვენივრად შეასრულა საჯარიმო დარტყმა — კოდალაევი მაღალ ბურთს ვერ შესწვდა და მეკარის ბაქანში მარტოდ მყოფმა ქვანიამ თავით გადაუგდო ბურთი დავით ინასარიძეს, რომელმაც ახლოდან ზუსტად დაარტყა — 0:1.

მეორე ნახევრის დასაწყისი „სპარტაკის" აქტიურობით აღინიშნა. უკვე 48-ე წუთზე მასპინძლებს ანგარიშის გათანაბრება შეეძლოთ, მაგრამ დარბაიძემ 5 მეტრიდან თავური დარტყმით მიუგორა ბურთი მეკარეს.

სტუმრებმა ტემპს უმატეს და მე-60 წუთზე ანგარიშიც გაზარდეს. ამ დღეს საუკეთესოებმა ინასარიძემ და თაყაძემ ერთმანეთში გაითამაშეს კომბინაცია, რის შედეგადაც თაყაძე პირისპირ დარჩა „სპარტაკის" გოლკიპერთან და ძლიერად დაარტყა. კოდალაევმა ბურთი მოიგერია, მაგრამ მას საჯარიმოში შეჭრილმა ინასარიძემ მიუსწრო და ცარიელ კარში ზუსტი დარტყმით დუბლი შეასრულა — 0:2.

10 წუთის შემდეგ გვირჯიშვილ-ლონლაძის კომბინაციის შემდეგ, თაყაძეს შეეძლო, მესამე გაეტანა, მაგრამ თავით არაზუსტად ითამაშა.

აშკარა გახდა, რომ თამაშის სადავეებს სტუმრები ხელიდან აღარ გაუშვებდნენ, რადგან გამოცდილმა მოთამაშეებმა ბურთის კონტროლს მეტი ყურადღება დაუთმეს და გამოუვიდათ კიდეც. რაც შეეხება მასპინძლებს, რაიმე სახიფათო მომენტი სტუმართა კართან თითქმის არ შეუქმნიათ, თუ არ ჩავთვლით, მატჩის ბოლო წუთზე ჩირიკაშვილის მიერ შესრულებულ საჯარიმო დარტყმას, რომელიც აკრობატულ ნახოტომში მოიგერია მეკარემ.

**პრესკონფერენცია**

კობა თედიაშვილი: რთული თამაში იყო. ორივე გუნდი ბოლომდე იბრძოდა და ჩვენ გავიმარჯვეთ. „სპარტაკს" მომავალში წარმატებებს ვუსურვებ.

კობა ჟორჟიკაშვილი: თავიდანვე დაძაბული თამაში წავიდა. სტუმრებმა სტანდარტული მდგომარეობის უკეთ გამოყენებისა და გამოცდილების წყალობით გვაჯობეს. ჩვენი გუნდი ჯერ კიდევ გამოუცდელია და გაძლიერებას საჭიროებს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზესტაფონი | 9 | 8 | 1 | 0 | 18:3 | 25 |
| დინამო | 9 | 8 | 0 | 1 | 24:3 | 24 |
| ვიტ ჯორჯია | 9 | 6 | 1 | 2 | 12:7 | 19 |
| ბორჯომი | 9 | 5 | 2 | 2 | 12:6 | 17 |
| მესხეთი | 9 | 5 | 2 | 2 | 12:9 | 17 |
| ამერი | 9 | 5 | 0 | 4 | 17:10 | 15 |
| მგლები | 9 | 5 | 0 | 4 | 10:8 | 15 |
| ოლიმპი | 9 | 4 | 2 | 3 | 8:8 | 14 |
| სიონი | 9 | 3 | 2 | 4 | 12:13 | 11 |
| ლოკომოტივი | 9 | 3 | 0 | 6 | 7:14 | 9 |
| სპარტაკი | 9 | 2 | 2 | 5 | 3:10 | 8 |
| დილა | 9 | 1 | 1 | 7 | 7:18 | 4 |
| მერანი | 9 | 1 | 0 | 8 | 3:20 | 3 |
| ბათუმი | 9 | 0 | 1 | 8 | 2:18 | 1 |

UEFA UNDER19 CHAMPIONSHIP

# 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## 19-წლამდელები. საქართველო. 18-23 ოქტომბერი


კლაუს და ჰაინც ტოპმიოლერები

ბაჩანა კოპალიანის ფოტო


გიორგი ივანიშვილს მომენტები კი ჰქონდა, მაგრამ ვერ გამოიყენა

# კარლსენმა ქართველები არ ააფრინა

ილია ნანობაშვილი

19-წლამდელთა ნაკრებში ეროვნული გუნდის ორი ფეხბურთელი გყავდეს და ერთიც სათადარიგოებში გეჯდეს, ხუმრობა როდია — ქართველი ყმაწვილების მწვრთნელ ჰაინც ტოპმიოლერს ლევან ყენიასა და ლევან მჭედლიძის თამაშის საშუალება მიეცა, მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ ამ ბიჭებმა სამი დღის წინ შოტლანდიის ნაკრებთან მოგებას დიდი ძალები შეალიეს და ისე ქორფად ველარ იყვნენ.

ქორფად თუ აჭრილად, ისევ ყენია-მჭედლიძე ამწვავებდნენ თამაშს და თანაგუნდელები მხარს ვერ უბამდნენ. ზოგიერთ ფეხბურთელზე ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, თითქოს პირველად იყვნენ მინდორზე გასულები — ელემენტარულ, სამოთხ მეტრში პასს ვერ აკეთებდნენ. შეიძლება, ერთხელ ან ორჯერ შეგეშალოს, მაგრამ სისტემატურად?!

იყო მომენტები, ნორვეგიელები ხუთი-ექვსი მეტრის ჩამორჩენისას ათმეტრიან დისტანციაში ასწრებდნენ ჩვენებს. რისი ბრალია? ან უვარჯიშებლობის, ან გადაწვის, ანაც, უბრალოდ, უცოდინრობის.

ასეა თუ ისე, ქართველ 19-წლამდელებს არაფრისმომცემი მატჩილა დარჩათ ლატვიასთან. სიტუაციიდან გამომდინარე, ჩვენებს გუშინ ფრე მთლად არ აძლევდათ ხელს (მერე სხვაზე ხდებოდა დამოკიდებული). ეგებ, ნორვეგია ყაბულს ყოფილიყო ქულაზე და მატჩის საწყის 20-25 წუთში ასეც ჩანდა, მაგრამ მერე იყნოსა მასპინძელთა დაღლილობა, აქეთ შეუტია და მეორე ნახევრის დასაწყისში გადამწყვეტი გოლიც შეაგდო.

დიახ, თავიდან მართლაც ქართველთა უპირატესობა იყო და მჭედლიძემ მიჯრით სამი მომენტიც გაჩარხა: ორჯერ გაიყვანა მეკარესთან პირისპირ გიორგი ივანიშვილი, მაგრამ ფორვარდი ორჯერვე უზუსტოდ გაისარჯა, ერთხელ კი თავად მჭედლიძეს აულო ნორვეგიელთა მეკარე ლარს სტუბჰაუგმა და მორჩა, ამის შემდეგ იგი თამაშში აღარ ჩართულა.

პატარა სკანდინავიელებიდან განსაკუთრებით მცველი პერ ეგილ ფლო და თავდამსხმელები, არამ ხალილი და ტომი ჰოილანდი გამოირჩეოდნენ. 29-ე წუთზე ჰოილანდის წაქცევისთვის პენალტის დანიშვნაც შეიძლებოდა, თუმც მსაჯმა სხვა გადაწყვეტილება მიიღო...

ტაიმის მიწურულს ნორვეგიელები გათამამდნენ და როინ კვასხვაძემ ორჯერ იყოჩაღა — ჰოილანდს უძლიერესი ყუმბარა აუღო, მერე კი მარტინ ელვესტადის მაკრატელასაც რიგიანად დაუხვდა.

გოლი კი 49-ე წუთზე გავიდა: პეტერ ლარსენი შორიდან ურტყამდა, ქართველთაგან ასხლეტილი ბურთი კი ბედად ფრედერიკ კარლსენს მიუვიდა და მანაც ერთ შეხებაში გაისროლა — 0:1.

აქედან მოყოლებული, ჩვენების წვალება დაიწყო. იყო მხოლოდ მცდელობები, რეალური ხიფათი კი სტუბჰაუგის კართან არა და არ იქმნებოდა. მხოლოდ ერთხელ, ყენიამ დაფარული პასით მოძებნა მჭედლიძე, თუმც იტალიური „ემპოლის" ფორვარდმა კარს სანტიმეტრებით ააცილა.

ნორვეგიის 19-წლამდელთა ნაკრები ის ხვითო არ იყო, ქოტურ შეტევებს რომ დაეშინებინა და...

თბილისი. 20 ოქტომბერი. 15 საათი. მიხეილ მესხი. 2 000 მაყურებელი

GFF **საქართველო 0:1 ნორვეგია** NF

| | |
|---|---|
| 0:1 კარლსენი (49) | |
| საქართველო: რ. კვასხვაძე, ვაჩიბერაძე (შეყილაძე 83), ხუმარაშვილი, გაბუნია (ბეგლარიშვილი 73), ბენაშვილი, ჩარგეიშვილი, ბლაგიძე (დაუშვილი 63), თარგამაძე, ყენია, მჭედლიძე, ივანიშვილი<br>სათადარიგონი: მაკარიძე; თარხნიშვილი<br>მწვრთნელი: ჰაინც ტოპმიოლერი | ნორვეგია: სტუბჰაუგი, ჰოფლანდი, ფლო, ელვესტადი, კარლსენი, ბენდიქსენი, აასი (ანდერსენი 46; ბოლდტი 86), ნური, ლარსენი, ჰოილანდი (ვალო 60), ხალილი<br>სათადარიგონი: ჰანსენი; კამარა, რამშტადი, პეშსიქსენი<br>მწვრთნელი: ტორ ოლე სკულერუდი |
| გაფრთხილება: მჭედლიძე (39), დაუშვილი (79), ვალო (90) | |
| მსაჯები: ა. სტავრევი (მაკედონია); მ. კიროვსკი (მაკედონია), კ. მირმუსი (პოლონეთი); მ. მიკოლაევსკი (პოლონეთი) | |
| უეფას დელეგატი: ბოჰუნეკი (ჩეხეთი) | |

# ყველაზე კაშკაშა ნარინჯი

## ვიინალდუმმა იფ-იფ-იფ ხორვატსაც ათქმევინა

ნუკრი ლოლაძე ბოლნისიდან

ნორვეგიელებთან პირველ ტურში ლატვიელებმა უსუსური გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს, „ნარინჯისფერებთან" კი შედარებით ნორმალურად ითამაშეს და ქართველები მათთან ხვალინდელ თამაშს სერიოზულად უნდა მოეკიდნონ, თორემ ალიყური არ ასცდებათ.

საწყის წუთებში ლატვიელებმა ზედიზედ ორი კუთხური ჩააწოდეს, თუმცა ვერაფერს გამორჩნენ.

შემდეგ რაივო კალნინსი ურტყამდა შორიდან, მაგრამ ააცილა.

ჰოლანდიელებმა პირველი ხიფათი შექმნეს: ჰუტკოპმა მარცხენა ფრთიდან ჩააწოდა, ყველას ზეეფუკმა დაასწრო, მაგრამ მეკარემ იყოჩაღა.

თანდათან ჰოლანდიელებმა თამაშის დალაგება დაიწყეს და მათი გათამაშებული კომბინაციების ნახვა ერთ რამედ ღირდა. განსაკუთრებით მარცხენა ნახევარმცველი ჰუტკოპი და საყრდენი ვიინალდუმი გამოირჩეოდნენ.

სწორედ ჰუტკოპის ჩაწოდებულს შეაგება თავური ვიინალდუმმა და 1:0.

ლატვიელები ცდას არ აკლებდნენ, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში სიზუსტე აკლდებოდათ. ვიინალდუმი კი ყველაფერი იყო, დაცვაშიც ჩადიოდა და შეტევაში ხომ მისი გამჩერებელი საერთოდ არავინ იყო.

პირველი ტაიმის დასრულების შემდეგ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი პეტარ სეგრტი, რომელმაც ტრიბუნიდან ადევნა მატჩს თვალი, აღფრთოვანებას ვერ მალავდა ჰოლანდიელთა თამაშის შემხედვარე.

-გრამოვიჩის პასის შემდეგ დუბრას შეეძლო გათანაბრება, მაგრამ თავური გაუცუდდა.

ვიინალდუმს კიდევ შეეძლო ეხეირა, მაგრამ ამჯერად უზუსტოდ დაარტყა.

82-ე წუთზე კი ვან დერ ბერგმა გამჭოლი გადაცემა გააკეთა საჯარიმოში, ვიინალდუმს ქუსლით უნდოდა გაეტანა, მაგრამ მეკარე ეუხეშა.

პენალტი მატიჩმა აქცია გოლად — 2:0.

და ერთიც: მატჩის გმირი ჯეორჯინიო ვიინალდუმი 84-ე წუთზე ამსტერდამის „აიაქსის" ლეგენდარული კაპიტნის დანი ბლინდის ვაჟმა შეცვალა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ნორვეგია | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| საქართველო | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| ლატვია | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

ბოლნისი. 20 ოქტომბერი. 12 საათი. თამაზ სტეფანია. 200 მაყურებელი

KNVB **ჰოლანდია 2:0 ლატვია**

| | |
|---|---|
| 1:0 ვიინალდუმი (21), 2:0 მატიჩი (823) | |
| ჰოლანდია: მულდერი, ჰორსტენი, ლიმა, ტერ ჰორსტი, მატიჩი, მაგუირი, დე იონგი, ჰუტკოპი, ვან დერ ბერგი (რომერინჯი 85), ვიინალდუმი (ბლინდი 84), ზეეფუკი (ფერი 68)<br>სათადარიგონი: კოტსერი, დროსტე, ჰაგარი, ვან დიერმენი<br>მწვრთნელი: ვიმ ვან ცვამი | ლატვია: პორტნოისი, კურაკინსი, მეში, სეველოვსი, შმილსი, დუბრა, ოსიპოვსი (სინელიკოვსი 46), გრამოვიჩი, ვალეგჟანინსი, პრიედენსი, კალნინსი (ოკლინსკისი 62)<br>სათადარიგონი: ძელმე; გავრილოვსკი, კორსაკოვსკი, აგაფონოვსი, პოლევოისი<br>მწვრთნელი: ანდრეის კარპოვსი |
| გაფრთხილება: კურაკინსი (66), მულდერი (75), პორტნოისი (82), ვან დერ ბერგი (84) | |
| მსაჯები: ი. ვადი, ვ. ტოტი (ორივე უნგრეთი), გ. ყრუაშვილი, დ. ხარიტონაშვილი (ორივე საქართველო) | |
| უეფას დელეგატი: მ. ნობსი (შვეიცარია) | |

# RUGBY WORLD CUP 2007

საფრანგეთი. 7 სექტემბერი — 20 ოქტომბერი





ჯონი უილკინსონმა ინგლისი ფინალამდე მიიყვანა, იქ კი...

**ფინალი**

20 ოქტომბერი. 23.00. პარიზი. „სტად დე ფრანსე“

**სამხრეთ აფრიკა 15:6 ინგლისი**

სამხრეთ აფრიკა: მონტგომერი, პიტერსენი, ფური, შტეინი, ჰაბანა; ჯეიმსი, დიუპრე; როსოუ, ბურხერი, მეტფილდი, ბ. ბოთა, ფან დერ ლინდე, ჯ. სმიტი (კაპ), დუ რანდტი

*სათადარიგოები:* ბ. დიუ პლესი, ი. დიუ პლესი, მულერი, ფან ჰეერდენი, პინარი, პრეტორიუსი, ოლივერი

მწვრთნელი: ჯეკ ვაიტი

5 ს: მონტგომერი (4), შტეინი

ინგლისი: რობინსონი, საკი, ტაიტი, ქეთი, კუეტო; უილკინსონი, გომარსალი; ისტერი, მუდი, ქორი, კეი, შოუ, ვიკერი (კაპ), რეგანი, შერიდანი

*სათადარიგოები:* ჩუთერი, სტივენსი, დალალიო, უორსლი, რიჩარდსი, ფლუდი, ჰიპკისი

მწვრთნელი: ბრაიან ეშტონი

2 ს: უილკინსონი

# ლელო!.. არ არის

## სამხრეთ აფრიკამ თასი სამხრეთში დააბრუნა

**ისტორიამ** ჩემპიონს თასი არ შეარჩინა. 1987 წლიდან დღემდე სარაგბო მსოფლიომ ექვსი თასი გამართა და ამ ოც წელიწადში ჯერ არ გამოჩენილა ზედიზედ ორჯერ მომგები გუნდი. 1999 წელს გამარჯვებულმა ავსტრალიამ 2003 წლის ფინალი ჯონი უილკინსონის ინგლისს დაუთმო, გუშინწინ კი თავად ინგლისს მოუხდა მსოფლიოში უძლიერესი გუნდის სტატუსის დაცვა სამხრეთ აფრიკასთან. ვერ დაიცვა და პარიზის „სტად დე ფრანსზე“ უილკინსონმა, ვიკერიმ, დალალიომ, რობინსონმა და სხვებმა ისევე გადაულოცეს ვებ ელისის სახელობის ჯილდო მათზე ძლიერ გუნდს, როგორც ეს ოთხი წლით ადრე გრეგანს, ლარქემს, ქენონსა და გრიფინს მოუხდათ. არავინ უწყის, თასი ვის დარჩებოდა, ვიდეო-მსაჯს მეორე ტაიმის დასაწყისში ინგლისელი მარკ კუეტოს ლელო რომ ჩაეთვალა. ერთია ცხადი და ისტორიაშიც ეს ჩაიწერება — მსოფლიოს ჩემპიონი სამხრეთ აფრიკაა და თასის დგარზე მეექვსე გუნდად სწორედ ის დაატვიფრა გრავიორმა კოლინ მაბიმ.

ვერ გამოვიდა ფინალი ლამაზი და საამოდ საცქერი და არც ეს გაჰკვირვებია ვინმეს. ორივე გუნდი ფრთხილობდა და ყოველგვარი ავანტიურისა თუ რამე ახლის ძიების გარეშე ცდილობდა მეტოქის დაცვის შემოწმებას. დაცვა კი აქეთაც და იქითაც მყარად იდგა და ძალზე იშვიათად ცდებოდა. ხისტი, უხეში და ხშირად ბინძური თამაშით ცნობილი სამხრეაფრიკელები ხომ საერთოდ არ ცდებოდნენ. ცნობილი ჩხუბისთავები სხალკ ბურხერი და ბაკის ბოთა ლამის ბოდიშებს უხდიდნენ მოწინააღმდეგეებს — უკაცრავად, რომ წაგაქციეთო. არც კინკლაობა, არც ხელის ცუდად ქნევა... რაგბის ამ თვალმიჩვეული დანამატებისგან სრულიად განწმენდილ თამაშში ინგლისელთა და სამხრეთაფრიკელთა დამრტყმელები მორკინალთა მიერ მოპოვებულ საჯარიმოებს ურტყამდნენ ერთმანეთის კარებში. ამ საქმეში სამხრეთაფრიკელებმა იძალეს, ხუთი საჯარიმო გაიტანეს და თასის მფლობელის ვინაობაც ასე გადაწყდა.



მარკ კუეტოს არჩათვლილი ლელო

და სად იყო მსოფლიოს ყველა დროის ალბათ საუკეთესო დამრტყმელი ჯონი უილკინსონი? იგი მოედანზე იყო და თავისი საქმის აღსრულებას ცდილობდა, მაგრამ იშვიადად ეძლეოდა აფრიკელთა კარის დალაშქვრის შანსი. მან პირველ ტაიმში ორი საჯარიმო გაუტანა „ქურციკებს“ და ასევე ორჯერ სცადა არეკნის დარტყმა, მაგრამ... უილკოს ნუგეშად ძველი ოქროს მედალი დარჩება, და აგრეთვე სამ მსოფლიოს თასზე (1999, 2003, 2007) მონაგრებული 249 ქულა და თასების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირის წოდება.

რაც შეეხება სეირს და ლამაზად ბურთაობას, თავადაც ნახავდით, ეს მატჩი ამით დიდად ვერ გამოირჩა. კვლავაც ვთქვათ, დაცვამ ორივე მხარეს ულაპარაკოდ აჯობა შეტევას, პირველ ტაიში გუნდებმა მხოლოდ თითო გარღვევა მოაწყვეს — მომავალ ჩემპიონთაგან 20 წლის შტეინმა, ხოლო ყოფილ ჩემპიონთაგან ტაიტმა. მეორე ტაიმში კი 9:6 ანგარიშზე მარკ კუეტომ შეძლო სამხრეთაფრიკელთა დაცვის გაგლეჯვა და ლელოც დადო. ირლანდიელი მსაჯი ალან როლანდი ჩათვლას აპირებდა, მაგრამ ვიდეო-მსაჯთან, ავსტრალიელ სტიუარტ დიკინსონთან გადაამოწმა. ამან კი დაასკვნა, რომ კუეტომ ბურთის დამიწებამდე გვერდით ხაზს დაადგა ფეხი, ანუ აუტიდან დაამიწა და ლელო არ ჩაითვალა. აქ დამთავრდა ინგლისური საგა, „ვარდებს“ ქულა აღარ აუღიათ და დიდი ხიფათიც არ შეუქმნიათ აფრიკელებისთვის. ესენი კი თავის საქმეს აკეთებდნენ და მეორე ჩემპიონობას უახლოვდებოდნენ. ისევე, როგორც 1995 წლის მსოფლიოს თასზე, მათ ახლაც ულელოო ფინალში მოიპოვეს მსოფლიოს უძლიერესი გუნდის ოფიციალური წოდება.

მართლა საუკეთესოა თუ არა სამხრეთ აფრიკა? ახალი ზელანდიის ქომაგთა არმიას გაუჭირდება მისი ასეთად აღიარება. იქ ავსტრალიასაც ახსენებენ, მაგრამ მსოფლიოს თასი ანუ ჩემპიონატიც ხომ ამისთვის ტარდება, რომ საყოველთაო ბრძოლაში გაირკვეს უძლიერესი. მაშინ, როდესაც ახალი ზელანდია ტრადიციულად საკუთარ ქედმაღლობას გადაჰყვა, ავსტრალიამ შერკინება მილიონჯერ ჩააქცია, ხოლო ყვინჩილა ფრანგებს ეკლიან ვარდებში გაეხლართათ ფეხი, ამ დროს სამხრეთაფრიკელმა „ქურციკებმა“ მთელი თასი უშეცდომოდ მოითამაშეს, პრაგმატული (და არა უჯიგრო და ცუდი სანახავი) რაგბი ითამაშეს და თასი დამსახურებულად დააბრუნეს სამხრეთ ნახევარსფეროში.

დამსახურებულ პენსიაზე გასული ჯეკ ვაიტის არაერთი შეგირდი მოხვდება მსოფლიოს თასის სიმბოლურ გუნდში. „ქურციკებს“ ნამდვილად არ აკლიათ გამორჩეული სახე-სახელები — პერსი მონტგომერი 105 ქულით ტურნირის ბომბარდირი გახდა, ბრაიან ჰაბანამ კი ყველაზე მეტი ლელო (8) გაიტანა. 35 წლის მართლაც ბებერმა ხარმა ოზ დუ რანდტმა მეორედ აკოცა ვებ ელისის თასს და შეუერთდა ორგზის ჩემპიონთა ავსტრალიურ ტრიოს (ჯონ ილზი, ტიმ ჰორანი, ჯეისონ ლიტლი).

თასი კი საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზისგან „ქურციკების“ მუხლმაგარმა კაპიტანმა ჯონ სმიტმა ჩაიბარა და მან და მისიანებმა ჯერ მოოქროვილი ჯილდო შეათამაშეს ხელებში, შემდეგ კი თავიანთი ქვეყნის შავკანიანი პრეზიდენტი ტჰაბო მბეკი, რომელიც თანამემამულეებთან ერთად კი ზეიმობდა, მაგრამ სანამ ჰაერში არ შეისროლეს, თითქმის არც ჩანდა ბულასავით ბიჭების კუნთების მთაში ჩაკარგული.

**ირაკლი ფირცხალავა**

# RUGBY WORLD CUP 2007

IRB RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

## საფრანგეთი. 7 სექტემბერი — 20 ოქტომბერი




„სანის" დაქირავებულმა ინგლისელმა ლამაზმანმა ფინალზე სტრიკერიც შეიტყუა




ჯონი უილკინსონს ვერც საცოლის, შერილ ჯენკინსის და დედის ფილიპას ქომაგობამ უშველა




ნამატჩევს სამხრეთაფრიკელები რასაც ჰქვია, ყირაზე დადგნენ




ლეგენდარული ახალზელანდიელი ტანა უმაგა მომავალ მსოფლიოს თასზე სამშობლოში გვეპატიჟება

## საქართველოს ჩემპიონატი
### პირველი წრე. პირველი ტური

**არმაზი 16:9 დინამო**

არმაზი: ჩხაიძე, ძიძიშვილი, ჯავარაშვილი, ძნელაძე, მინაშვილი; მჟავანაძე, ურჯუკაშვილი; ცირეკიძე, პინაიშვილი, კანდელაკი, მაჭარაძე, ჯიშკარიანი, ქართველიშვილი, სოსელია, ლამბაშიძე
შეცვლაზე შევიდნენ: გეთიაშვილი, ხინთიბიძე
1ლ: ხინთიბიძე; 3ს: მჟავანაძე, 1გ: ურჯუკაშვილი
დინამო: ოდიშარია, აგიაშვილი, ჯეირანაშვილი, ჯანელიძე, მაისურაძე; ლირსიაშვილი, კრეპსი; აზალაძე, რამიშვილი, ხვიჩია, ცხადაძე, ხორბალაძე, მირცხულავა, სვანიძე, მურვანიძე
შეცვლაზე შევიდა: ჭიჭინაძე
3ს: ლირსიაშვილი

**ყოჩები 14:13 ლოკომოტივი**

ყოჩები: კუპრეიშვილი, ელოშვილი, გრძელიშვილი, ათანაია, მახარაშვილი; გეგენავა, ხელაძე; დგებუაძე, კუჭუხიძე, გენეძაშვილი, არჩუაშვილი, ძელოაშვილი, კიკნაველიძე, ყალიჩავა, ჯაშიტაშვილი
შეცვლაზე შევიდნენ: ასეიშვილი, მეტრეველი, ჯორჯაძე, ჯოხაძე
1ლ: გეგენავა; 2ს: მახარაშვილი, 1ა: ათანაია
ლოკომოტივი: ასათიანი, ქავთარაძე, ანდღულაძე, ბერძენიშვილი, გუჯარაიძე; კვინიხიძე, ლვინჯილია, ყურაშვილი, ნიშნიანიძე, ბერიაშვილი, ჟღენტი, ტურაშვილი, მალალაძე, ხეჩიკოვი, პეტრიაშვილი
შეცვლაზე შევიდნენ: დათუკიშვილი, ნადირაძე, ნაცარაშვილი, გუჯარაიძე
2ლ: ნიშნიანიძე, ბერიშვილი; 1ს: კვინიხიძე

**ლელო 21:15 თსუ**

ლელო: ყიასაშვილი, ზაალიშვილი, მანჯავიძე, ფირფილაშვილი, ცერცვაძე; ხმალაძე, ჭინჭარაული; ახალაია, სარდანაშვილი, მძინარიშვილი, ჯალალონია, იორდანიშვილი, მჭედლიშვილი, ცხოვრებაშვილი, სანიკიძე
შეცვლაზე შევიდნენ: ქიზიყურაშვილი, ჯოგლიძე
2ლ: სარდანაშვილი, ზაალიშვილი; 3ს: ყიასაშვილი, 1გ: ყიასაშვილი
თსუ: ნუცუბიძე, ა. ტუჩაშვილი, კუპრეიშვილი, კილასონია, ხუციშვილი; ბაირამაშვილი, გოგია; კაკოვინი, დარასელია, ტუჩაშვილი, სურგულაძე, კობახიძე, ალადაშვილი, ზამბახიძე, დონაძე
შეცვლაზე შევიდნენ: ნადარეიშვილი, ზამბახიძე, კავთიძე, მჭედლიძე
4ს: ბაირამაშვილი; 1ა: ბაირამაშვილი

# ...და მსაჯები?!
## რკინიგზის ტენდერი ყოჩებმა მოიგებს

**საქართველოს** ჩემპიონატის მეცხრე ტური მსაჯების ცემით „დამშვენდა". მტყუან-მართლის ვინაობას ვერ მოგახსენებთ, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, „დინამო" — „არმაზის" მატჩის დასრულების შემდეგ მორაგბეებსა და მსაჯებს შორის გვარიანი ჩხუბი ატყდა და საკმაო ხანსაც გასტანა. არადა, ბობოლა სარაგბო ქვეყნებში მსაჯები თამაშის ყველაზე დაცული მონაწილენი არიან და უთავხედეს მობურთალებსაც კი სჯერათ მათი სიტყვის. ამიტომ ქართული რაგბის ჩინოვნიკებმა მოთამაშეებსა და მსაჯებს შორის ტრადიციულად ფეთქებადსაშიშ მდგომარეობაში მყოფი შუღლი იქნებ უმტკივნეულოდ მოაგვარონ. ქართველებმა მორიგი მსოფლიოს თასიც მოვიარეთ, ჩვენი რაგბიც უკვე სხვა სიმაღლეებს ეპოტინება და ალბათ ყველა დაგვეთანხმება, რომ მოედანზე და მის გარეთ დისციპლინა უმთავრესი წინაპირობა უნდა გავხადოთ.

ტური სწორედ „დინამო"-„არმაზის" ჯახით განახლდა. პირველი წრის შემდეგ სატურნირო ცხრილის ფსკერზე მყოფ გუნდებს შორის საკმაოდ დაძაბული, მაგრამ არასანახაობრივი ბრძოლა გაიმართა. პირველი ნახევარი 3:3 დასრულდა თითო-თითო ჯარიმით.

მეორე ტაიმის დასაწყისში დინამო დაწინაურდა. „ლურჯებმა" ზედიზედ ორი ჯარიმა გაუტანეს მოწინააღმდეგეს, რითაც თითქოს გადაწყვიტეს კიდეც მატჩის ბედი, მაგრამ შეცვლაზე შესული ხინთიბიძე ფეხბურთელივით გაისარჯა, ორჯერ ბურთს ფეხით მიმართულება შეუცვალა და ლელოც გაიტანა. ამას ურჯუკაშვილმა გარდასახვაც მიაყოლა და აღმოჩნდა, რომ შეხვედრის საკვანძო მომენტი შექმნეს „ყვითლებმა" — „არმაზმა" კიდევ ორი ჯარიმა გაიტანა და მატჩიც დასრულდა.

წლების მანძილზე უძლეველ „ლოკომოტივს" კი დამჯაბნავი გამოუჩნდა. ტურის მეორე ჯახი ფატალური და სანახაობრივი გამოდგა. „ლოკომ" ერთი ქულის სხვაობით დათმო შეხვედრა. არადა, მატჩის დასაწყისი სულ სხვა შედეგს უქადდა რკინიგზელებს.

პირველი ტაიმის მეხუთე წუთზე მოქმედმა ჩემპიონებმა ლელო გაიტანეს, რასაც მეორეც მიაყოლეს. საწყის ორმოც წუთში მეტოქის ორ ლელოს „ყოჩებმა" ერთი საჯარიმოთი უპასუხეს და გუნდები შესვენებაზე შვიდქულიანი სხვაობით გავიდნენ.

სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა მეორე ნახევარში. თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ უფრო შედეგიანად „ყოჩები" უტევდნენ. მეორე ტაიმის ბოლო წუთზე ისინი 14:13 იგებდნენ, მაგრამ რკინიგზელთა 10 ნომერ კობა კვინიხიძეს ჯარიმა ჰქონდა დასარტყმელი, რითაც წითლები გამარჯვებას გაინაღდებდნენ, მაგრამ...

ჩემგან მიმოხილული ორივე შეხვედრა ლოკომოტივის სათადარიგო მოედანზე გაიმართა შაბათს, ხოლო კვირის მატჩს მორაგბეთათვის ახლად გადაცემულმა „სინათლის" საკმაოდ კარგ მდგომარეობაში მყოფმა სტადიონმა უმასპინძლა. ერთვნული ჩემპიონატის ლიდერი „ლელო" თსუ-ს დაუპირისპირდა.

შეხვედრა სტუდენტების უპირატესობით დაიწყო და მათ პირველი ნახევარი 12:8 მოიგეს. მეორე ტაიმში „ლელომ" ბრჭყალები გამოაჩინა და გავეშებით მიეძალა მოწინააღმდეგეს. მეთხმოცე წუთზე ანგარიში 21:15 იყო „ლელოს" სასარგებლოდ. სტუდენტებმა კი ბოლო წუთზე ურეალურესი სალელოვე შანსი გაანიავეს და საბოლოო ჯამში დამარცხდნენ კიდეც.

**ზურაბ მიგრიაული**

# საქართველოს ჩემპიონატი

# მეჩვიდმეტე სუპერ-ეროვნული

## სპორტის სასახლე ჩემპიონატის სახლია



კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა სუპერლიგას წარმატებული სეზონი უსურვა

**გუშინ** საქართველოს მე-17 ეროვნული და მეორე სუპერლიგური სეზონი საინტერესოდ დაიწყო. პირველივე ტურში გამართლდა წინასწარი ვარაუდი, რომ ახალი ჩემპიონატი უწინდელზე დაძაბული იქნებოდა. ჯერ მხოლოდ ერთი ტური კი ჩატარდა, მაგრამ ერთი ისეთი შედეგი აღინიშნა, რომელიც იმედს იძლევა, რომ მე-17 ჩემპიონატი წინამორბედზე სასეირო იქნება.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საქართველოს პირველობამ ბინა სპორტის სასახლეში დაიდო. განახლებულ, განათებულ, გაბრწყინებულსა და კომფორტულ სასახლეში თამაში რომ უფრო სახალისოა, ვიდრე ჩაბნელებულ და ხანდისხან მომუშავე ტაბლოიან ვერის ბაღში, ამას რა თქმა უნდა. სადაც ხალისია, იქ ხარისხიც უკეთესია და მარტო ამ მიზეზით უნდა იყოს ეს ჩემპიონატი უწინდელზე მიმზიდველი.

მავანმა შეიძლება თქვას, ეგრე შარშანაც სპორტის სასახლეში დაიწყო სუპერლიგა, მაგრამ მერე ვერის ბაღში გადავიდაო. ჯერ ერთი, შარშან რომც არ გადასულიყო, სპორტის სასახლესა და ვერის ბაღს შორის დიდი განსხვავება არ იყო. გასარემონტებელ და გაყინულ სასახლეში თამაშს ისევ მყუდრო და გასათბობად იოლ ვერის ბაღში ბურთაობა ჯობდა. თან ახლა სულ სხვა მონდომებაა და ორგანიზებულობა. საქართველოს ჩემპიონატი არაა მხოლოდ მწვრთნელ-მოთამაშეები, მსაჯები და მატჩების მოსახურე მდივან-კომისრები. ყოველი ტურის არასპორტული მხარის ორგანიზებაზე არაერთი ადამიანი მუშაობს. ყველაფერს ერთი წამყვანი, ასე ვთქვათ, რეჟისორი ჰყავს, რომელიც რაციით კარნახობს ტექნიკურ პერსონალს, რა დროს და რა სახის მუსიკა ჩაირთოს, რომელი გასართობი ნომერი შესრულდეს და ასე შემდეგ...

დაახლოებით ასეთი რამ შარშანაც იყო, მაგრამ ახლა გაცილებით ორგანიზებულად ხდება ყველაფერი. ერთადერთი, რაც საქმეს აკლია და რის მოსაზიდავადაც იბრძვიან სუპერლიგელები, მაყურებელია. სპორტის სასახლე, მოგეხსენებათ, ტევადი არენაა და მისი კალათბურთით, მით უფრო, ეროვნული ჩემპიონატით შევსება საგმირო საქმეა. ვნახოთ, რა გამოუვათ სუპერლიგის ორგანიზატორებს, თუმც, როგორც კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ბესიკ ლიპარტელიანმა გვითხრა, სპეციალური პროექტი, თუ გარიგება არსებობს, რომელიც ყოველი ტურის მატჩებზე მინიმუმ 1000 მაყურებელს მოიზიდავს. რა პროგრამაა ეს, ქართული კალათბურთის ხელმძღვანელს არ დაუკონკრეტებია, თუმცა ის კი გვითხრა, რომ ამჯერად ის შეგულებული ათასი მაყურებელი თბილისობის გამო არ მოვიდა.

დიახ, გუშინ ცოტა ადამიანმა უყურა ჩემპიონატის გახსნას, რომელიც უწინდელებთან შედარებით ნამდვილი შედევრი იყო. თუ ადრე გახსნის ცერემონიალი სახელმწიფო ჰიმნის თანხლებითა და ეროვნული დროშის აღმართვით შემოიფარგლებოდა, ახლა ყველაფერი გაცილებით ლამაზი და რაც მთავარია, ორგანიზებული იყო. მცირე ხარვეზები, რა თქმა უნდა, შეიმჩნეოდა და ამის გარეშე ნებისმიერი ნოვაცია გამორიცხულია, მაგრამ ყველაფერი მაინც ლამაზი და საინტერესო გამოვიდა. ჩანდა, რომ ადამიანთა ჯგუფს უზრუნია მაყურებელთა სიამოვნებისთვის.

გახსნის ცერემონიალი სრულიად უინტერესო თსუ — დინამოს შემდეგ გაიმართა და ნაირგვარი მუსიკალურ-ვოკალურ-ქორეოგრაფიული ნომრებით გამოჩნდა. მაყურებელმა იხილა სპორტულად არცთუ ცუდად მოცეკვავე გოგო-ბიჭების გუნდი, მედოლეთა საინტერესო „დიმპიტაური" და ქართული ესტრადის ტოპ-რეპერი ლექსენი. ბოლოს ჭერში მიმაგრებული სუპერლიგის ლოგოთი დამშვენებული ბუშტების წვიმა წამოვიდა და გახსნის ცერემონიალიც დასრულდა.

ალისფერი ბუშტებით გადაპენტილ მოედანზე ცენტრალური მატჩის მონაწილენი გამოვიდნენ, თუმცა „ვითასა" და „ენერჯი-ინვესტის" წევრები ჯერ სათადარიგოთა სკამზე მოთავსდნენ, რადგან ბუშტებისგან სარბიელის გაწმენდას ათიოდ წუთი დასჭირდა.

თავისი შარმი ჰქონდა რუსთაველთა რიგებში ერთბაშად ორი შავკანიანის გამოჩენას. ამერიკელი ბელტონ რივერსი და ბაჰამელი ანვარ ფერგიუსონი საქართველოში გუშინწინ ჩამოვიდნენ და ქვემოქართლელთა თავკაცი დავით უსტიაშვილიც მათ გამოცდას სწორედ ამ მატჩში ეშურებოდა. გამოსაცდელად შეუფერებელ სიტუაციაში გახლდათ „ენერჯი-ინვესტის" თავკაცი, რადგან მეტოქე პრინციპული იყო და გუნდთან შეუთამაშებელი ლეგიონერებით რომ ეთამაშა, შესაძლოა, ფეხი დაცდენოდა.

უსტიაშვილმა მაინც ხუთეულში გაამწესა ორივე შავკანიანი, რომლებსაც გვერდში ახლახან შემატებული სერბი, იოვან სტეფანოვი ამოუყენა. რუსთაველებს თავიდან გაუჭირდათ თამაშისათვის ალღოს აღება, თუმც ეს მოსალოდნელიც იყო. უსტიაშვილმა სასწრაფოდ მიიღო ზომები — დაბნეული ფერგიუსონის ნაცვლად მოედანზე ზვიად ბაბიაშვილი შეუშვა, რითაც ფარქვეშ ძალები დააბალანსა და ვითელთა თავნებობაც აღკვეთა.

ეს ყველაფერი მეორე მეოთხედში მოხდა, მანამდე კი „ვითა" მიხეილ ბერიშვილისა და ვლადიმერ ბეჟანაშვილის ძალისხმევით ლიდერობდა. პირველმა სულაც უიშვიათესი მიზანი გამოავლინა და 14-დან 11 ნასროლი ჩააგდო. აქედან 7-ჯერ პერიმეტრსმიღმიდან გასტყორცნა, 6 ჩააგდო და საბოლოოდ 27 ქულა დააგროვა.

„ვითას" რომ მოეგო, ტურის საუკეთესო, ალბათ მიშა ბერიშვილი გახდებოდა, მაგრამ... რუსთაველები ლეგიონერებმა გადაარჩინეს. მეორე მეოთხედში რივერსი აბობოქრდა, მიჯრით 8 ქულა ჩააგდო, ხოლო მესამეში სტეფანოვის ჯერი დადგა და მანაც ზუსტად 8 ქულა მიითვალა მიყოლებით. სწორედ ამ ეპიზოდის შემდეგ მიაღწია რუსთაველთა ლიდერობამ 15 ქულას და ამ მატჩის გამარჯვებულიც აქ გაირკვა.

რივერსი კარგი უკანახაზელი ჩანს. ის ჯირკვივითაა, მაგრამ სისწრაფითა და ელასტიურობითაც გამოირჩევა. რივერსს გუშინ ფეხი ტკიოდა, თან მისი, ამერიკული დროით, შუაღამე იყო, მაგრამ 19 ქულის შეროვება მაინც მოახერხა. მას რუსთაველები, სავარაუდოდ, დაიტოვებენ, ხოლო 213-სანტიმეტრიან ანვარ ფერგიუსონს ბევრი რამ ჯერაც დასამტკიცებელი აქვს. „ფერგის" დაცვაში არა უშავს, ვითელ დავით ბერძენიშვილს ის არცთუ ცუდად მეურვეობდა, თუმცა ილაჯი და შეტევაში სიმძაფრე აკლია.

ახლა კი თავში ნათქვამი სიტყვები ავსხნათ, სადაც ვთქვით, რომ გუშინ ერთი ისეთი შედეგი დაფიქსირდა, რომელმაც ამ ჩემპიონატის საინტერესოობაში დაგვარწმუნაო. გუშინდელ ბოლო მატჩში შარშანდელმა ჩემპიონმა და მოქმედმა ვერცხლის პრიზიორმა „ავიამშენმა" „მაკაბისთან" წააგო. ეს იმას ნიშნავს, რომ „მაკაბი" არც სხვა გუნდებს მოერიდება და სავარაუდოდ, შეძლებისდაგვარად, „ვითასა" და „ენერჯი-ინვესტსაც" გაუმართავს ბრძოლა. შეიძლება, ვერ მოუგოს, მაგრამ...

რა მოხდა, როგორ მოუგო „მაკაბიმ" გაცილებით ძლიერ „ავიამშენს"? პირველ რიგში, ლევან მოსეშვილის გუნდის არხეინობის გამო... „ავიატორებმა" სათანადოდ ვერ შეაფასეს ჯამლეტ ხუხაშვილის გუნდი და დაისაჯნენ კიდეც. თუმცა ისიც სათქმელია, რომ „მაკაბის" ახალგაზრდა ცენტრმა გიორგი შერმადინმა ისე მოუმატა, რომ მისი ტოლ-სწორი ცენტრი საქართველოში ალბათ არც მოიძებნება.

შერმადინმა თავიდანვე რომ მიჰყო ხელი „ავიამშენის" კალათის რბევას, ამ საქმეს ბოლო წუთამდე არ მოეშვებოდა, მაგრამ მოედნის იძულებით დატოვება მოუხდა. ის პირველი ტაიმის ბოლო წუთებიდან გავარდნის ზღვარზე თამაშობდა, მაგრამ ხუხაშვილმა მოედანს არ გაარიდა. გიორგიმ 4 პერსონალურით მანამდე გაძლო, სანამ საფინალო სირენამდე 3 წუთი არ დარჩა. მერე კი დაჯარიმდა, გავარდა და მაკაბელებს ასეთი „ანდერძი" დაუტოვა: +10 ქულა.

ტყუპი ბერიშვილების გონივრული თამაშის წყალობით „მაკაბიმ" ბოლომდე შეინარჩუნა ლიდერობა და საამაყო გამარჯვება მიითვალა. ხოლო 28 ქულის, 18 მოხსნის, 4 დაფარების, 2 პასის და ერთი ჩაჭრის მიმთვლელი გიორგი შერმადინი ჟურნალისტებმა, რა თქმა უნდა, პირველი ტურის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს.

**ირაკლი ბერტაია**

21 ოქტომბერი. სპორტის სასახლე

**თსუ 78:64 დინამო**

*24:19 17:14 18:14 19:17*

თსუ: ჩიტაშვილი (13), ხეცურიანი (14), ფანჩულიძე (17), კეიდია (11), მათიაშვილი (11 ქულა, 17 მოხსნა); ჯაგერენაია (8), ყველაშვილი (4), კოხრეიძე

დინამო: ჟლენტი (20), ლაფანაშვილი (9), ფაიქრიძე (12), მაისურაძე (7), ახალკაცი (2); ათანელიშვილი (12), სიგუა (2), კუჭავა, ნანიტაშვილი, დევიძე

მსაჯები: მაკა კუპატაძე, ხათუნა გაბედავა

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**ვითა 66:85 აზოტი**

*21:15 10:29 21:23 14:18*

ვითა: მარხვაშვილი (4), მარკოიშვილი (9), მ. ბერიშვილი (27), ბეჟანიშვილი (13), ბერძენიშვილი (8); ნ. ნოზაძე (5), გვიმრაძე, ლ. ნოზაძე, ძიძიგური

აზოტი: გამყრელიძე (9), რივერსი (19), ბოისა (5), სტეფანოვი (21), ფერგიუსონი (3); ბაბიაშვილი (12), ჭოჭუა (8), დიდია (3), ცეკვავა (3), ლეჟავა (2), გოგობერიშვილი

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით არეშიძე

კომისარი: როლანდ ხომერიკი

**მაკაბი 83:76 ავიამშენი**

*19:15 17:18 19:20 28:23*

მაკაბი: დ. ბერიშვილი (7), ი. ბერიშვილი (25), ვაშაკიძე, ს. შერმადინი (4), გ. შერმადინი (28 ქულა, 18 მოხსნა); კოლუაშვილი (8), სორდია (8), კორკოტაძე (3)

ავიამშენი: ტულუში (28), ხოშტარია (9), შანიძე (2), ნინიაშვილი, როდუმტა (8); ნიკოლაძე (14), მინაშვილი (10), ბარბაქაძე (4), სუხიშვილი (1)

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, მალხაზ ანდღულაძე

კომისარი: როლანდ გელოვანი



ფორმულა 1. 58-ე მსოფლიოს ჩემპიონატი. მეჩვიდმეტე ეტაპი

# კმაყოფილი და ბედნიერი

## ჰემილტონი რაიკონენის უკან დარჩა


ფორმულა 1-ს წარმოგიდგენთ

Mobil 1




911 911

www.ibg.ge




AFP

**ქომაგებისთვის** უსაშველოდ გაჭიანურებული ორკვირიანი ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, ფანტასტიკურად დაძაბულ-საინტერესო ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის დრო მოვიდა და გუშინ „სამეფო რბოლების" ახალი გვირგვინოსნის ვინაობაც შევიტყვეთ.

ისე, ლამის საყოველთაო ვარაუდით, ამ ამბავში ახალი და მოულოდნელი ფინიშზე არაფერი არ უნდა მომხდარიყო, რადგან 22 წლის ინგლისელმა ახალბედა ლუის ჰემილტონმა მთელი შვიდთვიანი სეზონი განსაცვიფრებლად სტაბილურად ჩაატარა — ოთხი დიდი პრიზი მოიგო, 12-ჯერ იდგა პოდიუმზე და საფინალო, ბრაზილიური ეტაპის წინ გენერალურ კლასიფიკაციაში ოთხი ქულით უსწრებდა ჩემპიონ თანამაკლარენელ ფერნანდო ალონსოს და შვიდით — ფერარელ კიმი რაიკონენს.

თანაც ჰემმა რბოლა კონკურენტებზე წინ — პირველი რიგიდან დაიწყო. „ყინულის კაცი" კიმი სტარტზე მესამე იდგა, ნანდო — მეოთხე პოზიციაზე. კვალიფიკაცია კი მეორე ფერარელმა ფელიპე მასამ მოიგო, მეექვსედ წლეულს და ზედიზედ მეორედ სამშობლოში, რითაც თანამემამულე გულმხურვალე ქომაგებს არცთუ პატარა ზეიმი მოუწყო. თუმც ეს იყო შაბათს, საპოულე ბრძოლისას, გუშინ კი ფელიპეს მშობლიური სან-პაულუს „ინტერლაგუშზე" ძნელად დასაჯერებელი ფაქტი მოხდა: მსოფლიოს ჩემპიონის გვირგვინი პრეტენდენტთაგან აუტსაიდერმა რაიკონენმა მოიპოვა, „მაკლარენ-მერსედესმა" კი კონსტრუქტორთა თასიდან დისკვალიფიკაციის შემდეგ მეორე, პირადი ტიტულიც წააგო.

თავად მასამ ჩინებული სტარტის შემდეგ მეწინავეობა შეინარჩუნა, თანაც ოდნავ გზა გადაუკეტა ჰემილტონს, რითაც რაიკონენმა ისარგებლა და მეორე პოზიციაზე აღმოჩნდა. ჰემს შემდეგ ნანდოს მანქანასთანაც ჰქონდა მცირე კონტაქტი, ტრასას გადასცდა და მერვე ადგილამდე დაქვეითდა. ეს კიდევ არაფერი, ლუისი ნიკ ჰაიდფელდის გასწრებისას კიდევ ერთხელ გადავიდა ტრეკიდან და იქნებ ყოველივე ეს იყო მიზეზი, რომ მეშვიდე წრეზე მისმა „მაკმა" სისწრაფე დაკარგა და ლამის გაჩერდა კიდეც, თუმც მალე აკრიფა „გაცოცხლდა" და წინწასულებს გამოუდგა — ძალიანაც იყოჩაღა და ერთი ათი მეტოქის გასწრებაც შეძლო, მაგრამ დანაკარგი ველარ აინაზღაურა და რბოლა მხოლოდ მეშვიდე, მართალია ორქულიან, მაგრამ თავისთვის ტრაგედიულ ადგილზე დაასრულა.

ჰემილტონი ტიტულს მოიპოვებდა, თუკი ლიდერები ფინიშთან ისე მიგორდებოდნენ, როგორც მეორე პიტსტოპამდე იყო — პირველი მასა, მის უკან რაიკონენი. მაგრამ რომელი ჭკუათმყოფელი გაუშვებდა ხელიდან ასეთ ზღაპრულ შანსს? „ფერარის" შტაბიდან ბოქსებში ჯერ მასას უხმეს, სამიოდე წრის მერე კი რაიკონენმაც შეიარა საწვავ-საბურავებისთვის და ბუნებრივია, ტრასაზე მასაზე წინ დაბრუნდა.

რაც შეეხება ალონსოს, გუშინ მას სკუდერიელებთან შეჭიდების მისხალი შესაძლებლობა არ ჰქონია და მესამე საპოდიუმე საფეხურმა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ამჯერად მხოლოდ მესამე ადგილზე დატოვა.

ფანტასტიკა! აშკარა-დაუჯერებელი! „სამეფო რბოლების" 58-ე ჩემპიონატში რიგით 29-ე ტრიუმფატორი გახდა კიმი რაიკონენი, რომელიც შუა სეზონში 26 ქულით ჩამორჩებოდა ლიდერ ჰემილტონს და სატიტულო იმედიც გადაწურული ჰქონდა.

კიდევ ერთი ფანტასტიკური ფაქტია, რომ კიმი ახალ გუნდში პირველივე წელს გახდა ჩემპიონი, რაც ვერც ალონსოს და ვერც თვით მიხაელ შუმახერს გაუკეთებია.

რაიკონენმა, რომელიც ხუთი დღის წინ 28 წლის შესრულდა, საკუთარ თავს ფანტასტიკური საჩუქარი უძღვნა: „მე კმაყოფილი და ბედნიერი ვარ! შუა სეზონში ჩვენ ბევრს ვაგებდით, მაგრამ ძალა მოვიკრიფეთ და მაინც ამოვქაჩეთ. ამ რბოლაში მაქსიმუმისთვის ვიბრძოდით და ჩვენსას მივაღწიეთ. მადლობა გუნდს, გულშემატიკრებს, მადლობა ჩვენს პარტნიორებს!"

**გია ახალაძე**

### რბოლის შედეგები

**ბრაზილიის დიდი პრიზი**
**21 ოქტომბერი. სან პაულუ**

დისტანცია 71 წრე — 305,909 კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | (3) | რაიკონენი (ფერარი) | 1:28.15,3 (208,0 კმ/სთ) |
| 2. | (1) | მასა (ფერარი) | ჩამორჩა 1,5 |
| 3. | (4) | ალონსო (მაკლარენი) | 57,0 |
| 4. | (13) | როსბერგი (უილიამსი) | 1.02,8 |
| 5. | (7) | კუბიცა (BMW-ზაუბერი) | 1.10,9 |
| 6. | (6) | ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი) | 1.11,3 |
| 7. | (2) | ჰემილტონი (მაკლარენი) | 1 წრით |
| 8. | (8) | ტრული (ტოიოტა) | 1 წრით |
| 9. | (9) | კულჰარდი (რედ ბული) | 1 წრით |
| 10. | (19) | ნაკაჯიმა (უილიამსი) | 1 წრით |
| 11. | (15) | შუმახერი (ტოიოტა) | 1 წრით |
| 12. | (18) | სატო (სუპერ აგური) | 2 წრით |
| 13. | (14) | ლიუცი (ტორო როსო) | 2 წრით |
| 14. | (20) | დევიდსონი (სუპერ აგური) | 3 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | | |
|---|---|---|
| (21) | სუტილი (სპაიკერი) | გაიარა 43 წრე |
| (11) | ბარიკელო (ჰონდა) | 40 |
| (17) | კოვალაინენი (რენო) | 35 |
| (13) | ფეტელი (ტორო როსო) | 34 |
| (16) | ბატონი (ჰონდა) | 20 |
| (5) | ვებერი (რედ ბული) | 14 |
| (22) | იამამოტო (სპაიკერი) | 2 |
| (12) | ფიზიკელა (რენო) | 2 |

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

**პოული**

მასა 1.11,931 (215,6 კმ/სთ)

**საუკეთესო წრე**

ჰემილტონი 1.12,506 (213,9 კმ/სთ)

### Formula 1

| | ავსტრალია 18 მარტი | მალაიზია 8 აპრილი | ბაჰრეინი 15 აპრილი | ესპანეთი 13 მაისი | მონაკო 27 მაისი | კანადა 10 ივნისი | აშშ 17 ივნისი | საფრანგეთი 1 ივლისი | დ.ბრიტანეთი 8 ივლისი | გერმანია 22 ივლისი | უნგრეთი 5 აგვისტო | თურქეთი 26 აგვისტო | იტალია 9 სექტემბერი | ბელგია 16 სექტემბერი | იაპონია 30 სექტემბერი | ჩინეთი 7 ოქტომბერი | ბრაზილია 21 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 რაიკონენი ფერარი, ფინეთი | ■10 | 6 | 6 | – | 1 | 4 | 5 | 10 | 10 | ■– | 8 | 8 | 6 | ■10 | 6 | 10 | 10 | 110 |
| 2 ჰემილტონი მაკლარენი, დიდი ბრიტანეთი | 6 | 8 | 8 | 8 | 8 | ■10 | ■10 | 6 | ■6 | – | ■10 | 4 | 8 | 5 | ■10 | ■– | 2 | 109 |
| 3 ალონსო მაკლარენი, ესპანეთი | 8 | 10 | 4 | 6 | ■10 | 2 | 8 | 2 | 8 | 10 | 5 | 6 | ■10 | 6 | – | 8 | 6 | 109 |
| 4 მასა ფერარი, ბრაზილია | 3 | ■4 | ■10 | ■10 | 6 | – | 6 | ■8 | 4 | 8 | – | ■10 | – | 8 | 3 | 6 | ■8 | 94 |
| 5 ჰაიდფელდი BMW-ზაუბერი, გერმანია | 5 | 5 | 5 | – | 3 | 8 | – | 4 | 3 | 3 | 6 | 5 | 5 | 4 | – | 2 | 3 | 61 |
| 6 კუბიცა BMW-ზაუბერი, პოლონეთი | – | – | 3 | 5 | 4 | – | | 5 | 5 | 2 | 4 | 1 | 4 | – | 2 | – | 4 | 39 |
| 7 კოვალაინენი რენო, ფინეთი | – | 1 | – | 2 | – | 5 | 4 | – | 2 | 1 | 1 | 3 | 2 | 1 | 8 | – | – | 30 |
| 8 ფიზიკელა რენო, იტალია | 4 | 3 | 1 | – | 5 | – | – | 3 | 1 | – | – | – | – | – | 4 | – | – | 21 |
| 9 როსბერგი უილიამსი, გერმანია | 2 | – | – | 3 | – | – | – | – | – | – | 2 | 2 | 3 | 3 | – | – | 5 | 20 |
| 10 კულჰარდი რედ ბული, დიდი ბრიტანეთი | – | – | – | 4 | – | – | – | – | – | 4 | – | – | – | – | 5 | 1 | – | 14 |

ვურცი — 13, ვებერი — 10, ტრული — 8, ფეტელი — 6, ბატონი — 6, შუმახერი — 5, სატო — 4, ლიუცი — 3, სუტილი — 1 ქულა

■ პოულ-პოზიცია

### კონსტრუქტორთა თასი

| | ავსტრალია | მალაიზია | ბაჰრეინი | ესპანეთი | მონაკო | კანადა | აშშ | საფრანგეთი | დ.ბრიტანეთი | გერმანია | უნგრეთი | თურქეთი | იტალია | ბელგია | იაპონია | ჩინეთი | ბრაზილია | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ფერარი | 13 | 10 | 16 | 10 | 7 | 4 | 11 | 18 | 14 | 8 | 8 | 18 | 6 | 18 | 9 | 16 | 18 | 204 |
| 2 BMW-ზაუბერი | 5 | 5 | 8 | 5 | 7 | 8 | 1 | 9 | 8 | 5 | 10 | 6 | 9 | 4 | 2 | 2 | 7 | 101 |
| 3 რენო | 4 | 4 | 1 | 2 | 5 | 5 | 4 | 3 | 3 | 1 | 1 | 3 | 2 | 1 | 12 | – | – | 51 |
| 4 უილიამსი | 2 | – | – | 3 | 2 | 6 | – | – | – | 5 | 2 | 2 | 2 | 3 | – | – | 5 | 28 |
| 5 რედ ბული | – | – | – | 4 | – | – | 2 | – | – | 10 | – | – | – | 2 | 5 | 1 | – | 24 |

ტოიოტა — 13, ტორო როსო — 8 ქულა, ჰონდა — 6, სუპერ აგური — 4, სპაიკერი - 1 ქულა. მაკლარენი მოხსნილია გათამაშებიდან

## ჰოკეი

# რეგულარული ჩემპიონატი

19 ოქტომბერი

**ჩიკაგო 5:3 კოლორადო**

*3:0 0:1 2:2*

1:0 ტეივსი (7), 2:0 შარპი (9), 3:0 კეინი (15), 3:1 ვოლსკი (36), 3:2 სვატოში (41), 3:3 სმიტი (48), 4:3 რუუტუ (59), 5:3 ლანგი (60)

**პიტსბურგი 4:3 კაროლინა**

*1:1 2:2 0:0 0:0 (1:0 ბულიტებით)*

0:1 რ. უიტნი (1), 1:1 სიკორა (19), 1:2 ლეტოვსკი (24), 1:3 უილიამსი (36), 2:3 პოლი (38), 3:3 სიკორა (40)

**ბუფალო 0:3 კოლუმბუსი**

*0:0 0:2 0:1*

0:1 პეკა (27), 0:2 ნეში (34), 0:3 ფერდევე (60)

**ვანკუვერი 2:4 ლოს ანჯელესი**

*1:0 0:3 1:1*

1:0 კუკი (3), 1:1 ჯონსონი (24), 1:2 კამალერი (26), 1:3 ფროლოვი (30), 2:3 ოლუნდი (55), 2:4 ბრაუნი (60)

20 ოქტომბერი

**ტორონტო 4:6 ჩიკაგო**

*2:1 1:0 1:5*

0:1 უილიამსი (5), 1:1 სუნდინი (8), 2:1 კაბერლე (18), 3:1 სუნდინი (34), 3:2 ზიუზინი (42), 3:3 კეიტი (42), 3:4 ლანგი (48), 3:5 შარპი (52), 4:5 კილგერი (58), 4:6 რუუტუ (60)

**ვაშინგტონი 1:2 პიტსბურგი**

*1:0 0:2 0:0*

1:0 პოტეი (14), 1:1 სტაალი (24), 1:2 უიტნი (38)

**ოტავა 4:1 ფლორიდა**

*0:0 2:1 2:0*

1:0 ფიშერი (23), 2:0 დონოვანი (24), 2:1 ზედნიკი (26), 3:1 შუბერტი (43), 4:1 ალფრედსონი (52)

**ფილადელფია 3:2 კაროლინა**

*1:1 0:1 1:0 1:0 (ოვერტაიმში)*

1:0 განიე (6), 1:1 სტაალი (6), 1:2 უილიამსი (38), 2:2 რიჩარდსი (42), 3:2 განიე (61)

**აილენდერსი 4:3 ნიუ ჯერსი**

*0:1 3:0 0:2 1:0 (ოვერტაიმში)*

0:1 პარიზე (1), 1:1 ვასიჩეკი (24), 2:1 შატანი (26), 3:1 კომრი (33), 3:2 პანდოლფო (43), 3:3 ჯიონტა (53), 4:3 გერინი (65)

**მონრეალი 4:2 ბუფალო**

*1:0 1:2 2:0*

1:0 სმოლინსკი (3), 1:1 გოშტადი (25), 1:2 როი (25), 2:2 ჩიპჩურა (28), 3:2 ჰამრლიკი (53), 4:2 ჰიგინსი (60)

**ბოსტონი 1:0 რეინჯერსი**

*0:0 0:0 0:0 0:0 (1:0 ბულიტებით)*

**ტამპა 6:2 ატლანტა**

*2:1 3:0 1:1*

1:0 პროსპალი (6), 1:1 კოვალჩუკი (15), 2:1 გრეტონი (19), 3:1 ლეკავალიე (26), 4:1 სენ ლუი (39), 5:1 დარში (39), 6:1 პროსპალი (48), 6:2 სტერლინგი (48)

**დალასი 3:1 ანაჰაიმი**

*1:0 2:1 0:0*

1:0 მოროუ (3), 2:0 რიბეირო (28), 3:0 ლეხტინენი (31), 3:1 პრონგერი (39)

**სენტ ლუისი 1:3 მინესოტა**

*0:0 1:2 0:1*

0:1 დემიტრა (33), 1:1 ვაგნერი (40), 1:2 ბელანჟე (40), 1:3 ბარნსი (52)

**ფინიქსი 2:5 დეტროიტი**

*2:1 0:2 0:2*

0:1 გუდლერი (5), 1:1 რაინპრეხტი (13), 2:1 მორისი (18), 2:2 მოლტბი (32), 2:3 მოლტბი (40), 2:4 ლებდა (45), 2:5 ზეტერბერგი (55)

**კალგარი 4:1 ედმონტონი**

*1:1 1:0 2:0*

1:0 ჰუსელიუსი (2), 1:1 განიე (14), 2:1 იგინლა (30), 3:1 ფანაფი (56), 4:1 ოკოინი (59)

**სან ხოსე 3:0 ნეშვილი**

*0:0 1:0 2:0*

1:0 რენიკი (25), 2:0 მარლო (54), 3:0 მიხალეკი (60)

## ჩოგბურთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კაცები. მასტერსი**

მადრიდი. ესპანეთი

ჰარდი (დარბაზი)

საპრიზო 2 082 500 ევრო

**მეოთხედფინალი**

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) 7:6 6:4; დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) — რაფაელ ნადალი (2, ესპანეთი) 6:1 6:2; ნოვაკ ჯოკოვიჩი (3, სერბეთი) — მარიო ანჩიჩი (ხორვატია) 7:6 6:2; ნიკოლას კიფერი (გერმანია) — ფერნანდო გონსალესი (5, ჩილე) 7:6 6:2

**ნახევარფინალი**

ფედერერი — კიფერი 6:4 6:4; ნალბანდიანი — ჯოკოვიჩი 6:4 7:6

**ფინალი**

ნალბანდიანი — ფედერერი 1:6 6:3 6:3

**ქალები**

ციურიხი. შვეიცარია

ჰარდი (დარბაზი)

საპრიზო 1 340 000 დოლარი

**მეოთხედფინალი**

ჟუსტინ ენინი (1, ბელგია) — აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) 6:4 6:2; ფრანჩესკა შიავონე (იტალია) — სვეტლანა კუზნეცოვა (2, რუსეთი) 6:3 3:3 *(უარი)*; ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) — მარიონ ბარტოლი (9, საფრანგეთი) 4:5 *(უარი)*; ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) — ალიონა ბონდარენკო (უკრაინა) 6:1 6:4

**ნახევარფინალი**

ენინი — ვაიდიშოვა 3:6 6:3 7:5; გოლოვინი — შიავონე 6:0 6:4

**ფინალი**

ენინი — გოლოვინი 6:4 6:4

# სარბიელი და კროკო

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა 22 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 33 | ნიუკასლი-ტოტენჰემი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| | | ინგლისი. ჩემპიონატი 22 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:45 | 47 | ჰალი-ბარნსლი | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| | | გერმანია. II ბუნდესლიგა 22 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:00 | 124 | მიონხენგლადბახი-კოლნი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| | | იტალია. სერია C1/A 22 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:45 | 684 | ლეკო-მანფრედონია | 1.70 | 2.70 | 5.80 | 1.04 | 1.31 | 1.84 |
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი 22 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:00 | 255 | ლე ჰავრი-ამიენი | 1.60 | 3.30 | 5.30 | 1.07 | 1.22 | 2.03 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თურქეთი 22 ოქტომბერი | | | | | | |
| 16:00 | 685 | ოფთახსპორ-ანკარაგუჯუ | 2.65 | 3.00 | 2.40 | 1.40 | 1.25 | 1.33 |
| 21:00 | 686 | სივასსპორი-მანისა | 1.85 | 3.10 | 3.90 | 1.15 | 1.25 | 1.72 |
| | | ჩეხეთი 22 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:15 | 687 | ბოლესლავი-ლიბერეცი | 1.70 | 3.20 | 4.70 | 1.11 | 1.24 | 1.90 |
| | | დანია. სუპერლიგა 22 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:00 | 385 | მიდტიულანდი-ესბიერგი | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| | | ნორვეგია. ტიპელიგა 22 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:00 | 400 | ვიკინგი-სტაბეკი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა 22 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:00 | 688 | აიკ-გოტებორგი | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| 21:00 | 689 | გაის-მალმიო | 2.55 | 3.20 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |
| 21:00 | 690 | ჰალმსტადი-იურგორდენი | 3.00 | 3.20 | 2.05 | 1.54 | 1.21 | 1.24 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10033 | ნიუკასლი-ტოტენჰემი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10047 | ჰალი-ბარნსლი | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10255 | ლე ჰავრი-ამიენი | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10385 | მიდტიულანდი-ესბიერგი | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10400 | ვიკინგი-სტაბეკი | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10688 | აიკ-გოტებორგი | 3.40 | 2.00 | 2.60 | 1.25 | 1.47 | 1.13 |
| 10689 | გაის-მალმიო | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10690 | ჰალმსტადი-იურგორდენი | 3.40 | 2.00 | 2.60 | 1.25 | 1.47 | 1.13 |

## გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17033 | ნიუკასლი-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17047 | ჰალი-ბარნსლი | 1.85 | 1.95 |
| 17255 | ლე ჰავრი-ამიენი | 1.85 | 1.95 |
| 17385 | მიდტიულანდი-ესბიერგი | 1.85 | 1.95 |
| 17400 | ვიკინგი-სტაბეკი | 1.85 | 1.95 |
| 17688 | აიკ-გოტებორგი | 1.85 | 1.95 |
| 17689 | გაის-მალმიო | 1.85 | 1.95 |
| 17690 | ჰალმსტადი-იურგორდენი | 1.85 | 1.95 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11033 | ნიუკასლი-ტოტენჰემი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11047 | ჰალი-ბარნსლი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11255 | ლე ჰავრი-ამიენი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11385 | მიდტიულანდი-ესბიერგი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11400 | ვიკინგი-სტაბეკი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11688 | აიკ-გოტებორგი | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11689 | გაის-მალმიო | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11690 | ჰალმსტადი-იურგორდენი | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16033 | ნიუკასლი-ტოტენჰემი | 1.65 | 2.05 |
| 16047 | ჰალი-ბარნსლი | 1.52 | 2.20 |
| 16255 | ლე ჰავრი-ამიენი | 1.22 | 3.40 |
| 16385 | მიდტიულანდი-ესბიერგი | 1.25 | 3.40 |
| 16400 | ვიკინგი-სტაბეკი | 1.50 | 2.30 |
| 16688 | აიკ-გოტებორგი | 2.10 | 1.60 |
| 16689 | გაის-მალმიო | 1.80 | 1.85 |
| 16690 | ჰალმსტადი-იურგორდენი | 2.10 | 1.60 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)

(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12033 | ნიუკასლი-ტოტენჰემი | 1.90 | 1.70 |
| 12047 | ჰალი-ბარნსლი | 1.70 | 1.90 |
| 12255 | ლე ჰავრი-ამიენი | 1.70 | 1.90 |
| 12385 | მიდტიულანდი-ესბიერგი | 2.10 | 1.50 |
| 12400 | ვიკინგი-სტაბეკი | 2.10 | 1.50 |
| 12688 | აიკ-გოტებორგი | 1.70 | 1.80 |
| 12689 | გაის-მალმიო | 1.70 | 1.80 |
| 12690 | ჰალმსტადი-იურგორდენი | 1.70 | 1.80 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14033 | ნიუკასლი-ტოტენჰემი | 1.80 | 2.00 |
| 14047 | ჰალი-ბარნსლი | 1.75 | 2.10 |
| 14255 | ლე ჰავრი-ამიენი | 1.30 | 2.50 |
| 14385 | მიდტიულანდი-ესბიერგი | 1.45 | 2.40 |
| 14400 | ვიკინგი-სტაბეკი | 1.75 | 2.10 |
| 14688 | აიკ-გოტებორგი | 2.10 | 1.75 |
| 14689 | გაის-მალმიო | 1.95 | 1.85 |
| 14690 | ჰალმსტადი-იურგორდენი | 2.10 | 1.75 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15033 | ნიუკასლი-ტოტენჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15047 | ჰალი-ბარნსლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15255 | ლე ჰავრი-ამიენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15385 | მიდტიულანდი-ესბიერგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15400 | ვიკინგი-სტაბეკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15688 | აიკ-გოტებორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15689 | გაის-მალმიო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15690 | ჰალმსტადი-იურგორდენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

# არ ვიძულნწებთ
## ფლუმინენსეს რიკელმე უნდა

„ფლუმინენსემ", რომელმაც წლეულს ბრაზილიის თასი მოიგო ხუან რომან რიკელმეს შეძენის სურვილი გამოთქვა.

გუნდს 2008 წლის „კოპა ლიბერტადორესზე" გამოსვლა დაბევებული აქვს და უნდა პრესტიჟული ტურნირის პერიოდისთვის „ვილიარეალის" ჩაუქი არგენტინელი გადაიბიროს.

„რიკელმე განსაკუთრებული, სხვათაგან გამორჩეული ფეხბურთელია. მან „ბოკა ხუნიორსის" მიერ ლიბერტადორესის თასის მოგებაში დიდი წვლილი შეიტანა და შესანიშნავი იქნება, ჩვენთან თუ გადმოვა — „რომი" „ფლუმინენსეს" ძალიან დაეხმარება" — განაცხადა ბრაზილიური კლუბის კოორდინატორმა, წარსულში ნაკრების ფეხბურთელმა ბრანკომ.

„ფლუს" თავკაცობას კარგად ესმის, რომ რიკელმეს ყიდვა ადვილი საქმე არ გახლავთ და თავად ფეხბურთელიც დაბალ ჯამაგირზე არ ითამაშებს („ვილიარეალში" მისი ხელფასი სეზონში 8 მილიონი ევროა). თუმცა, ბრანკო იმედს არ კარგავს: „რა თქმა უნდა, ილუზიებს არ გამოვეკიდებით და ვიცით, რიკელმეს შეძენა რამხელა სირთულეებთან არის დაკავშირებული. თუმცა „ფლუმინენსეს" უფროსობა და კლუბის სპონსორები ამ ფეხბურთელის მნიშვნელობას კარგად ხვდებიან და გარწმუნებთ, ჩვენი მხრიდან ფულზე წუწუნს ადგილი არ ექნება — ნორმალურობის ფარგლებში რიკელმეს სანაცვლოდ ხაზინის შემსუბუქებაზე უკან არ დავიხევთ".

**ლადო ხომერიკი**

# ყველაზე ნორჩი

„ბარსელონას" ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მეგოლე არის ბოიან კრკიჩი. ადრე ეს რეკორდი ლეო მესის ეკუთვნოდა, თუმცა შაბათს 17 წლის ერთი თვის და 20 დღის კრკიჩმა „ვილიარეალს" გაუტანა და კლუბის ისტორიაში ყველაზე ნორჩ მეგოლედ გადაიქცა.

„მადრიგალზე" კატალონიურმა გრანდმა „ვილიარეალთან" 1:3 წააგო. ბოიანმა თავისი გოლი 25-ე წუთზე ლეო მესის პასით გაიტანა, როდესაც სტუმრები უკვე 0:2-ს აგებდნენ.

ბოიან კრკიჩი კატალონიურ ლეიდაში 1990 წლის 28 აგვისტოს დაიბადა.

მესი, როცა „ალბასეტესთან" თავისი პირველი გოლი შეაგდო, 17 წლის, 10 თვის და 7 დღის გახლდათ.

**ლადო ხომერიკი**

# ბოლტონელთა ბასკური თავი
## ირურეტას ინგლისში ეძახიან

**ინგლისური** მედიის ვერსიით, იქაურ „ბოლტონს" მალე სათავეში სახელგანთქმული ბასკი ხავიერ ირურეტა ჩაუდგება.

„ხაბო" უკვე კარგა ხანია, უმუშევარია. მას შემდეგ, რაც შარშან „ბეტისის" მწვრთნელობიდან დაითხოვეს, სხვა არც ერთ კლუბთან აღარ ჰქონია კავშირი.

„ბოლტონმა" კი ძველი დამრიგებელი სემი ლი რამდენიმე დღის წინ გაათავისუფლა და ახლა ახალი თავკაცის ძიებაშია.

ხავიერ ირურეტა 59 წლის გახლავთ. მისი სამწვრთნელო საქმიანობიდან ყველაზე ეფექტური, რა თქმა უნდა, „დეპორტივოში" გატარებული პერიოდი გახლავთ, როდესაც „ხაბომ" გალისიური ფლაგმანი ევროპული გრანდების რიცხვად აქცია. ირურეტას „დეპორი" 2004 წლის ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალშიც გავიდა.

7 წელიწადი იმუშავა „ხაბომ" გალისიურ „რიასორზე" და ამ ხნის განმავლობაში „დეპორტივოს" ესპანეთის ჩემპიონობა (2000), ორჯერ ესპანეთის სუპერთასი და კოპა დელ რეი მოაგებინა. განსაკუთრებით ხმაურიანად ლა კორუნიელებმა სამეფო თასზე გაიმარჯვეს, როცა მადრიდის „რეალს" 2002-ში, კლუბის „სენტენარიოზე", ანუ ასი წლის თავზე „სანტიაგო ბერნაბეუზე" აართვეს კოპა დელ რეი.

**ლადო ხომერიკი**

## ვიზე ვერდერს მოურიგდა

**„ვერდერის"** მეკარე ტიმ ვიზე, რომელიც ახალ კონტრაქტს ჯამაგირის სიმცირის გამო უარობდა, პარასკევს ღამით კლუბთან მორიგდა და ხელშეკრულება 2012 წლამდე გაახანგრძლივა.

25 წლის გოლკიპერს კონტრაქტი მომავალ ივნისში უმთავრდებოდა. მას წელიწადში 3 მილიონი ევრო სურდა, „ვერდერი" კი ორნახევარს სთავაზობდა.

## არგენტინელი ბრეჟნევი

**არგენტინის** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად ზედიზედ მერვედ ხულიო გრონდონა აირჩიეს. იგი პოსტზე 1979 წლიდანაა, ამჟამად კი ფიფას ვიცე-პრეზიდენტიცაა.

გრონდონა ფედერაციას 2011 წლამდე უთავკაცებს. 76 წლის კაცს 49 კლუბიდან 44-მა მისცა ხმა.

არჩევნებში მონაწილეობას კარლოს ბილარდოც აპირებდა, მაგრამ ბოლოს გადაიფიქრა.

**გაჩა ხუციშვილი**

## პოლონეთი
### პირველი ლიგა. XI ტური

ლეგია — ოდრა 0:1; იაგელონია — ზაგლებე 0:0; რუხი — ბელხატუვი 1:1; სოსნოვიცი — კორონა 2:3; გროცლინი — ლეხი 1:0; კრაკოვია — ვისლა 1:2; ლოძი — გურნიკი 0:1; პოლონია — ვიძევი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 11 | 9 | 2 | 0 | 31:6 | 29 |
| კორონა | 11 | 8 | 1 | 2 | 16:9 | 25 |
| ლეგია | 11 | 8 | 0 | 3 | 20:5 | 24 |
| გროცლინი | 11 | 7 | 1 | 3 | 18:12 | 22 |
| ლეხი | 11 | 6 | 2 | 3 | 22:14 | 20 |
| გურნიკი | 11 | 6 | 1 | 4 | 15:15 | 19 |
| ზაგლებე | 11 | 4 | 3 | 4 | 12:12 | 15 |
| ბელხატუვი | 11 | 3 | 5 | 3 | 10:11 | 14 |
| კრაკოვია | 11 | 4 | 1 | 6 | 8:10 | 13 |
| ოდრა | 11 | 3 | 3 | 5 | 12:16 | 12 |
| იაგელონია | 11 | 3 | 3 | 5 | 8:18 | 12 |
| პოლონია | 11 | 3 | 2 | 6 | 7:19 | 11 |
| რუხი | 11 | 2 | 3 | 6 | 13:21 | 9 |
| ვიძევი | 11 | 1 | 5 | 5 | 10:15 | 8 |
| ლოძი | 11 | 1 | 4 | 6 | 6:10 | 7 |
| სოსნოვიცი | 11 | 2 | 0 | 9 | 11:26 | 6 |

## უნგრეთი
### ბორსოდი ლიგა XII ტური

დიოშდიორი — ფეჰერვარი 2:0; შონვედი — დიორი 2:2; შიოფოკი — რეაკი 1:0; დებრეცენი — შოპრონი 4:2; კაპოშვარი — ვაშაში 1:0; უიპეშტი — პაკში 3:1; ზალაეგერსეგი — ტატაბანია 4:1. მტკ — ნიირედიჰაზა დღეს გაიმართება

## რუმინეთი
### I ლიგა XI ტური

უნივ. კრაიოვა — უნივ. კლუჟი 1:1; გლორია — დაჩია 0:1; ტიმოშოარა — ოცელული 4:1; პოლიტეხნიკა — რაპიდი 0:2; ჩაჰლაული — ვასლუი 1:1; პანდური — დინამო 0:1; ფარული — არადი 1:0; კლუჟი — უნირია 2:0

## შვეიცარია
### თასის 1/16 ფინალი

ბინინგენი — ბაზელი 1:6; ბოლმი — ლოზანა 0:2 დ.დ.(0:0); კრინსი — აარაუ 1:0; ვინტერთური — გრასჰოპერი 2:3; ვოლენი — ბელინცონა 0:0(პენ.4:5); ეტოილ კარუჟი — სიონი 0:2; კორკორდია — ციურიხი 1:1(პენ.5:6); კოლომბიე — ივერდონი 1:3; გოსაუ — სენტ გალენი 2:0; ლანგენტალი — ლუცერნი 2:5; ლოკარნო — იანგ ბოისი 0:2; რასინგი — ქსამაქსი 2:5დ.დ.(2:2); შაფჰაუზენი — ვილი 3:1; ჩამი — თუნი 0:1; ნიონი — სერვეტი 2:1; კიასო — ლუგანო 3:1

## სლოვაკეთი
### I ლიგა. XIII ტური

ბანსკა ბისტრიცა — ტრენჩინი 1:1; კოშიცე — ტრნავა 3:2; რუჟომბეროკი — დუბნიცა 2:2; სლოვანი — მორავცე 2:2; არტმედია — ჟილინა 2:3. ნიტრა — სენეცი დღეს გაიმართება

## სერბეთი
### სუპერლიგა. IX ტური

ბორაცი — ჩუკარიჩკი 1:1; ბანატი — სარტიდი 2:3; ნაპრედაკი — მლადოსტი 0:1; ოფკ — ცრვენა ზვეზდა 0:2; პარტიზანი — ჰაიდუკი 2:1; ვოივოდინა — ბეჟანიჯა 3:1

## მექსიკა
### აპერტურა. XIII ტური

ვერაკრუსი — მონტერეი 3:1; კრუზ ასული — ხაგუარესი 1:1; სან ლუისი — უნამი 3:2; გვადალახარა — ატლანტე 1:1; პაჩუკა — ამერიკა 1:2; ტიგრესი — ტეკოსი 4:0; ნეკაქსა — ატლასი 2:4; ტოლუკა — პუებლა 2:0. სანტოსი — მორელია წუხელ გვიან დამთავრდა

## მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
### აზია. საკვალიფიკაციო წრე

მონღოლეთი — ჩრდ. კორეა 1:4; ტიმორ-ლესტე — ჰონკონგი 2:3; შრი ლანკა — ყატარი 0:1; ჩინეთი — მიანმარი 7:0; ბაჰრეინი — მალაიზია 4:1

## თურქეთი
### სუპერლიგა. IX ტური

გაზიანთეფი — დენიზლი 1:2; გენჩლერი — ქაისერი 1:1; ბუიუქშეჰირი — კაშიმპასა 2:0; რიზე — ბურსა 2:0; ტრაბზონი — ბეშიქთაში 2:3; ფენერბაჩე — ქონია 4:1; გალათასარაი — ანკარა 0:0. ოფთა — ანკარაგიუჯიუ და სივა — მანისა დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 9 | 6 | 3 | 0 | 18:4 | 21 |
| ბეშიქთაში | 9 | 6 | 2 | 1 | 12:7 | 20 |
| სივა | 8 | 6 | 1 | 1 | 14:6 | 19 |
| ფენერბაჩე | 9 | 4 | 4 | 1 | 13:8 | 16 |
| ბუიუქშეჰირი | 9 | 5 | 0 | 4 | 14:10 | 15 |
| ტრაბზონი | 9 | 3 | 4 | 2 | 12:8 | 13 |
| ქაისერი | 9 | 3 | 4 | 2 | 14:11 | 13 |
| დენიზლი | 9 | 3 | 3 | 3 | 13:12 | 12 |
| ანკარაგიუჯიუ | 8 | 3 | 3 | 2 | 10:10 | 12 |
| გაზიანთეფი | 9 | 4 | 0 | 5 | 12:13 | 12 |
| რიზე | 9 | 3 | 1 | 5 | 9:18 | 10 |
| გენჩლერი | 9 | 2 | 3 | 4 | 11:13 | 9 |
| მანისა | 8 | 2 | 3 | 3 | 12:15 | 9 |
| ოფთა | 8 | 2 | 2 | 4 | 7:9 | 8 |
| ბურსა | 9 | 1 | 4 | 4 | 8:11 | 7 |
| კაშიმპასა | 9 | 2 | 1 | 6 | 6:13 | 7 |
| ქონია | 9 | 1 | 4 | 4 | 9:19 | 7 |
| ანკარა | 9 | 0 | 4 | 5 | 5:12 | 4 |

## რუსეთი
### პრემიერლიგა. XXVII ტური

**სპარტაკი 3:1 მოსკოვი**
1:0 დიდუხა (14), 1:1 მაქსი ლოპესი (21), 2:1 ტიდერი (61), 3:1 ველინტონი (90)

**ტომი 0:1 ცსკა**
0:1 მაზნოვი (45ს.კ.)

**ლოკომოტივი 1:1 ლუჩ-ენერგია**
0:1 გვაზავა (4), 1:1 სიჩოვი (82)

**ამკარი 1:1 ნალჩიკი**
0:1 ფაიზულინი (68), 1:1 კუშევი (79პ)

**კრილია 3:0 რუბინი**
1:0 ტოპიჩი (40), 2:0 ბუთი (79), 3:0 კონტერო (87)

**ზენიტი 4:1 ხიმკი**
0:1 ტიხონოვი (20პ), 1:1 პოგრებნიაკი (35), 2:1 ზირიანოვი (45), 3:1 ლომბარტსი (61), 4:1 ფატიჰ ტეკე (79)

**როსტოვი 1:3 სატურნი**
1:0 სტავპეცი (20), 1:1, 1:2 კირიჩენკო (28პ, 36), 1:3 კარიაკა (54)

**დინამო 1:0 კუბანი**
1:0 სემშოვი (38)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 27 | 15 | 7 | 5 | 45:29 | 52 |
| ზენიტი | 27 | 15 | 7 | 5 | 48:33 | 52 |
| მოსკოვი | 27 | 13 | 7 | 7 | 35:28 | 46 |
| ცსკა | 27 | 11 | 11 | 5 | 37:22 | 44 |
| სატურნი | 27 | 11 | 11 | 5 | 33:24 | 44 |
| დინამო | 27 | 11 | 7 | 9 | 36:32 | 40 |
| ლოკომოტივი | 27 | 11 | 7 | 9 | 36:36 | 40 |
| ამკარი | 27 | 9 | 11 | 7 | 26:21 | 38 |
| ტომი | 27 | 7 | 10 | 10 | 34:33 | 31 |
| ხიმკი | 27 | 7 | 10 | 10 | 24:29 | 31 |
| რუბინი | 27 | 9 | 4 | 14 | 28:36 | 31 |
| ნალჩიკი | 27 | 7 | 9 | 11 | 27:33 | 30 |
| კრილია | 27 | 7 | 8 | 12 | 29:37 | 29 |
| ლუჩ-ენერგია | 27 | 7 | 8 | 12 | 25:33 | 29 |
| კუბანი | 27 | 6 | 10 | 11 | 23:35 | 28 |
| როსტოვი | 27 | 1 | 11 | 15 | 16:41 | 14 |

## ირლანდია
### პრემიერლიგა. XXX ტური

ბრეი — გალვეი 1:1; დერი — ბოჰემიანსი 1:2; სენტ პატრიკსი — შემროკი 5:0; დუბლინი — ლონგფორდი 0:1; დროგედა — კორკი 2:1; სლიგო — უოტერფორდი 1:2

## ამხანაგური მატჩი

ქუვეითი 2:1 ომანი

## ხორვატია
### I დივიზიონი. XII ტური

ჰაიდუკი — ზადარი 4:1; ზაგრები — მედიმურიე 1:1; ვარტექსი — ციბალია 2:1; რიეკა — ინტერი 2:1; სლავენი — ოსიეკი 2:0; შიბენიკი — დინამო 0:2

## შვედეთი
### ალსვენსკა. XXV ტური

ელფსბორგი — ორებრო 0:2; ბრომაპოიკარნა — კალმარი 1:2; გეფლე — ჰელსინგბორგი 4:0; ტრელებორგი — ჰამარბი 1:0. აიკ — გიოტებორგი, გაის — მალმიო და ჰალმსტადი — იურგორდენი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კალმარი | 25 | 14 | 3 | 8 | 41:32 | 45 |
| გიოტებორგი | 24 | 12 | 7 | 5 | 42:23 | 43 |
| იურგორდენი | 24 | 12 | 7 | 5 | 37:22 | 43 |
| აიკ | 24 | 10 | 8 | 6 | 30:24 | 38 |
| ელფსბორგი | 25 | 9 | 10 | 6 | 37:29 | 37 |
| ჰალმსტადი | 24 | 9 | 9 | 6 | 32:30 | 36 |
| ჰამარბი | 25 | 10 | 3 | 12 | 31:31 | 33 |
| ჰელსინგბორგი | 25 | 8 | 8 | 9 | 40:37 | 32 |
| მალმიო | 24 | 8 | 7 | 9 | 26:25 | 31 |
| გეფლე | 25 | 8 | 7 | 10 | 27:29 | 31 |
| გაის | 24 | 7 | 8 | 9 | 23:31 | 29 |
| ორებრო | 25 | 6 | 7 | 12 | 27:43 | 25 |
| ტრელებორგი | 25 | 5 | 8 | 12 | 22:36 | 23 |
| ბრომაპოიკარნა | 25 | 4 | 8 | 13 | 20:43 | 20 |

### სუპერეტა. XXIX ტური

იორგრიტე — ნორჩიოპინგი 0:5; ბანკეფლო — სილვია 1:3; ფალკენბერგი — ატვიდაბერგი 3:2; ჰეკენი — ენჩიოპინგი 1:0; ლანდსკრონა — ლიუნგსკილე 1:2; ნორჩიოპინგი — იონკოპინგი 0:1; იოსტერსი — მიალბი 3:0; სირიუსი — იორგრიტე 5:2; სუნდსვალი — დეგერფორსი 0:1

## ჩეხეთი
### გამბრინუს ლიგა. X ტური

სლავია — პლზენი 3:0; სიგმა — ტეპლიცე 1:0; ჟიჟკოვი — ზლინი 2:0; იაბლონეცი — ბანიკი 1:1; კლადნო — ბოჰემიანსი 2:1; მოსტი — ბრნო 2:2; ბუდეიოვიცე — სპარტა 1:1. ბოლესლავი — ლიბერეცი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლავია | 10 | 8 | 1 | 1 | 21:6 | 25 |
| ტეპლიცე | 10 | 6 | 2 | 2 | 13:7 | 20 |
| ბანიკი | 10 | 5 | 4 | 1 | 17:7 | 19 |
| სპარტა | 10 | 5 | 2 | 3 | 12:8 | 17 |
| სიგმა | 10 | 4 | 4 | 2 | 7:6 | 16 |
| ბოლესლავი | 9 | 4 | 3 | 2 | 12:7 | 15 |
| ბრნო | 10 | 3 | 4 | 3 | 13:15 | 13 |
| ზლინი | 10 | 3 | 4 | 3 | 8:14 | 13 |
| კლადნო | 10 | 3 | 3 | 4 | 16:16 | 12 |
| ბუდეიოვიცე | 10 | 3 | 3 | 4 | 11:13 | 12 |
| პლზენი | 10 | 3 | 3 | 4 | 8:11 | 12 |
| ჟიჟკოვი | 10 | 2 | 3 | 5 | 14:20 | 9 |
| მოსტი | 10 | 1 | 5 | 4 | 16:21 | 8 |
| იაბლონეცი | 10 | 1 | 4 | 5 | 6:11 | 7 |
| ბოჰემიანსი | 10 | 1 | 4 | 5 | 5:12 | 7 |
| ლიბერეცი | 9 | 1 | 3 | 5 | 5:10 | 6 |

## ბულგარეთი
### ვიშა ლიგა. IX ტური

სლავია — ლიტექსი 1:0; ლოკომოტივი (პ) — ცსკა 0:1; ბეროე — ვიჰრენი 2:0; ჩერნო მორე — ჩერნომორეცი 2:1; ლოკომოტივი (ს) — ბელასიცა 1:0; მარეკი — ბოტევი 1:0; პირინი — სპარტაკი 0:2; ვიდიმა-რაკოვსკი — ლევსკი 1:3

## იაპონია
### ჯეი ლიგა. XXIX ტური

ომია — ჰიროშიმა 1:0; ივატა — კაშიმა 1:3; კავაზაკი — ნიიგატა 4:3; კობე — ფკ იოკოჰამა 3:0; იჩიჰარა — ურავა 2:4; იოკოჰამა — შიმიცუ 0:2; ოიტა — კაშივა 2:1; გამბა — კოფუ 5:0; ნაგოია — ტოკიო 0:1

## უკრაინა
### ვიშა ლიგა. XIII ტური

მეტალურგი (დ) — ვორსკლა 0:0; კრივბასი — შახტარი 1:0; ნაფტოვიკი — ზარია 0:0; დინამო — ზაკარპატია 1:0; მეტალურგი (ზ) — ჩერნომორეცი 0:2; დნიპრო — ტავრია 2:1; კარპატი — არსენალი 0:0; ხარკოვი — მეტალისტი 0:2

# წითლების აღლუმი

## ინგლისი
### პრემიერლიგა X ტური

**ბლექბერნი 4:2 რედინგი**

1:0 მაკკარტი (18), 2:0 სანტა კრუზი (22), 3:0 თუგაი (32), 3:1 დოილი (80), 4:1 მაკკარტი (82პ), 4:2 დოილი (90)
ბლექბერნი: ფრიდელი, ემერტონი, სამბა, ოიერი, უორნოკი (ხიზანიშვილი 54), ბენტლი, სევიჯი, თუგაი, დანი (პედერსენი 66), სანტა კრუზი (დერბიშირი 77), მაკკარტი
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
რედინგი: ჰანემანი, მარტი, სონკო, დაბერი, შორი, ბიკეი (ლიტა 46), ჰარპერი, ფაე (დოილი 64), როსენიორი (გუნარსონი 46), კიტსონი, ჰანტი
მწვრთნელი: სტივ კოპელი
მსაჯი: მარინერი
19 425 მაყურებელი

**ასტონ ვილა 1:4 მანჩესტერი**

1:0 აგბონლაჰორი (13), 1:1, 1:2 რუნი (36, 44), 1:3 ფერდინანდი (45), 1:4 გიგზი (75)
ასტონ ვილა: კარსონი, მელბერგი, ნაითი (ტეილორი 67), ლაურსენი, ბუმა, გარდნერი (მელოუნი 53), რეო-კოკერი, ბერი, იანგი, აგბონლაჰორი, მური (ოსბურნი 54)
მწვრთნელი: მარტინ ონილი
მანჩესტერი: ვან დერ სარი, პიკე, ბრაუნი, ფერდინანდი, ევრა, ნანი, ანდერსონი, სქოულზი (ოში 77), გიგზი (რონალდუ 76), რუნი, ტევესი (ფლეტჩერი 73)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: რეო-კოკერი, იანგი, სქოულზი, ნანი, რეო-კოკერი
გაძევება: რეო-კოკერი (60), კარსონი (66)
მსაჯი: სტაილზი
42 640 მაყურებელი

**ევერტონი 1:2 ლივერპული**

1:0 ჰიპია (38ა.კ.), 1:1, 1:2 კაიტი (54პ, 90პ)
ევერტონი: ჰოვარდი, ჰიბერტი, იობო, სტაბსი, ლესკოტი, არტეტა, იაგიელკა, ფ. ნევილი, ოსმანი, აიეგბენი (მაკფადენი 77), ანიჩებე (ვაინსი 84)
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
ლივერპული: რეინა, ფინანი, კარაგერი, ჰიპია, რიისე, ჯერარდი (ლეივა 71), მასკერანო, სისოკო (პენანტი 88), ბენაიუნი (ბაბელი 68), ვორონინი, კაიტი
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: მაკფადენი, კაიტი, კარაგერი
გაძევება: ჰიბერტი (53), ნევილი (90)
მსაჯი: კლატენბურგი
40 049 მაყურებელი

**არსენალი 2:0 ბოლტონი**

1:0 ტურე (68), 2:0 როსიცკი (80)
არსენალი: ალმუნია, სანია, ტურე, გალასი, კლიში, ებუე (როსიცკი 62), ფაბრეგასი, ფლამინი, გლები (დიაბი 89), ედუარდო (უოლკოტი 62), ადებაიორი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ბოლტონი: იასკელაინენი, ჯ. ობრაიენი, მეიტე, ე. ობრაიენი, გარდნერი, ნოლანი, კამპო, მაკკანი, გუტრიე (იანაკოპულოსი 77), დიუფი (ბრაატენი 68), დევისი
მწვრთნელი: რიკი სბრაგია
გაფრთხილება: ფაბრეგასი, მაკკანი, დიუფი, ნოლანი, დევისი, კამპო
მსაჯი: რაილი
59 442 მაყურებელი

**სიტი 1:0 ბირმინგემი**

1:0 ელანო (37)
სიტი: ჰარტი, კორლუკა, რიჩარდსი, დანი, გარიდო, აირლენდი (ბოლი 80), ჯონსონი, ჰამანი, პეტროვი, მპენზა (სამარასი 65), ელანო (ჟელსონი 89)
მწვრთნელი: სვენ-გორან ერიკსონი
ბირმინგემი: ტეილორი, კელი, შმიტცი (დენსი 87), რიდგუელი, კედრუ, მაკშეფრი (დე რიდერი 58), პალასიოსი, მუამბა, ნაფტი (ოკონორი 76), კაპო, ჯერომი
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
გაფრთხილება: კორლუკა, გარიდო, ჯონსონი, პალასიოსი, რიდგუელი
მსაჯი: დინი
45 688 მაყურებელი

**მიდლსბრო 0:2 ჩელსი**

0:1 დროგბა (8), 0:2 ალექსი (57)
მიდლსბრო: შვარცერი, იანგი, ვუდგეიტი, რიგოტი, ტეილორი, ონილი, ბოატენგი (კეტერმოლი 67), როჩემბაკი, დაუნინგი, თუნჯაი (კრადოკი 84), მიდო
მწვრთნელი: გარეთ საუთგეიტი
ჩელსი: ჩეხი, ბელეტი, რ. კარვალიუ, ალექსი, პ. ფერეირა, მიკელი, ესიენი (სიდველი 81), ლამპარდი, ჯ. კოული, მალუდა (შ. რაიტ-ფილიპსი 75), დროგბა (შევჩენკო 85)
მწვრთნელი: ავრაამ გრანტი
გაფრთხილება: ბოატენგი, მალუდა
მსაჯი: ჰალსი
27 699 მაყურებელი

**უიგანი 0:2 პორტსმუთი**

0:1 მვარუვარი (81), 0:2 ჯონსონი (86)
უიგანი: კირკლანდი, ბოისი, გრენკვისტი, ბრამბი, კილბეინი, შარნერი, ბრაუნი, ლანძაატი, კუმასი, სიბიერსკი (აგაჰოვა 52), ბენტი
მწვრთნელი: კრის ჰათჩინგსი
პორტსმუთი: ჯეიმსი, ჯონსონი, კემპბელი, დისტინი, ჰრეიდარსონი, უტაკა, დევისი (პ. მენდეში 77), დიოპი, კრანჩარი, მუნტარი, მვარუვარი
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: კემპბელი, დევისი, მუნტარი, აგაჰოვა, მბრამბლი
მსაჯი: უოლტონი
17 695 მაყურებელი

**ფულემი 0:0 დერბი**

ფულემი: ნიემი, ბაირდი, სტეფანოვიჩი, ჰიუზი, კონჩესკი, ბუაზა, შ. დევისი (ს. დევისი 69), მერფი, სეოლი (ბოკანეგრა 46), კამარა (ჰილი 87), დემპსი
მწვრთნელი: ლოური სანჩესი
დერბი: ბივატერი, მირსი, მური, დევისი (ბერნესი 43), მაკიველი (გრიფინი 71), პირსონი, ოკლი, ლიკოკი (ჰოვარდი 78), ლუისი, ფაგანი, მილერი
მწვრთნელი: ბილი დევისი
გაფრთხილება: ლიკოკი, ფაგანი
გაძევება: კონჩესკი (45)
მსაჯი: დოუდი
22 576 მაყურებელი

**ვესტ ჰემი 3:1 სანდერლენდი**

1:0 კოული (9), 1:1 ჯონსი (52), 2:1 გორდონი (78ა.კ.), 3:1 ბელამი (90)
ვესტ ჰემი: გრინი, ნილი, გაბიდონი, მაკკარტნი, აპსონი, ბოიერი, ეზერინგტონი (ბოა მორტე 74), მალიმსი, მობლი (სოლანო 73), ბელამი, კ. კოული (ე. ფერდინანდი 84)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
სანდერლენდი: გორდონი, ჰიგინბოთემი, კოლინზი (ჰარტი 80), ჰალფორდი, ნოსვორთი, ეტუჰუ, ლიდბიტერი, მილერი, დონოვანი (ჩოპრა 46), უოლესი (სტოკსი 46), ჯონსი
მწვრთნელი: როი კინი
გაფრთხილება: კოული, ლიდბიტერი, ჰალფორდი, ბელამი, ბოიერი
მსაჯი: ფოი
34 913 მაყურებელი

**ნიუკასლი — ტოტენჰემი**
*დღეს გაიმართება*


უეინ რუნის პენალტი

„ევერტონს“ ორი კაცი გაუძევეს, „ლივერპულმა“ კი დირკ კაიტის პენალტებით მოიგო მერსისაიდული დერბი.

სემი ჰიპიამ პირველი ტაიმის მიწურულს საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი — კუთხურზე მოგერიებას ცდილობდა. შესვენების შემდეგ „ევერტონი“ გულიანად უტევდა და კონტრიერიში გაეპარა. სტივენ ჯერარდი ტონი ჰიბერტმა წააქცია, ხოლო კაიტმა მარცხენა დაბალ კუთხეში გაიტანა.

ჰიბერტი გააძევეს, მაგრამ მასპინძლები კიდევ უფრო მეტი ჯიგრით იბრძოდნენ. თამაშის ბოლოს კი „ლივერპულის“ მორიგი კონტრშეტევისას ფილ ნევილმა ბურთი კარიდან ხელით გამოიტანა და კაიტმა ისევ იმ კუთხეში დაარტყა პენალტი. მეკარე კი მისწვდა, მაგრამ ვერ შეაჩერა. ამის მერე ჯეიმი კრაგერმა ჯოლეონ ლესკოტი წააქცია და „ევერტონი“ მსაჯს ეცა — პენალტს ითხოვდნენ, მარკ კალტენბერგმა კი წესის დარღვევა არ აღნიშნა.

რაფაელ ბენიტესმა ნამატჩევს თქვა, რომ ლესკოტმა ითაღლითა.

ლიდერ „არსენალს“ გაუჭირდა ბოლოადგილოსანი „ბოლტონის“ ძლევა, რომელსაც დროებით თავკაცობს შოტლანდიელი არჩი კნოქსი. სტუმრები დაცვაში ჩადგნენ და „მეთოფეთა“ შემტევებმაც სახეირო ვერაფერი შექმნეს. მეორე ტაიმში ვენგერმა თეო უოლკოტი და ტომაშ როსიცკი შეუშვა, რომლებმაც „არსენალის“ თამაში გააფერადეს, თუმც გოლი მცველმა კოლო ტურემ გაიტანა საჯარიმო დარტყმით. მერე კი შეცვლაზე შესულთა კომბინაცია დასრულდა გოლით — უოლკოტის პასით როსიცკიმ ახლოდან შეაგდო.

„არსენალი“ და „ლივერპული“ კვლავაც დაუმარცხებლები არიან.

„მეთოფეებს“ ორი მანჩესტერული გუნდი მისდევს. „იუნაიტედმა“ ტრადიცია არ დაარღვია და კვლავ დაჩაგრა სტუმრად „ასტონ ვილა“, ხოლო „სიტიმ“ შინ მეექვსე მატჩი მოიგო.

ბირმინგემში „ვილა“ გაბრიელ აგბონლაჰორმა დააწინაურა თავური დარტყმით. თითქოს ამას ელოდნენო, ფერგიუსონის შეგირდებმა ცხრაწუთიან მონაკვეთში მასპინძლებს სამით უპასუხეს. უეინ რუნიმ დუბლი შეასრულა, ხოლო ფერდინანდმა კუთხურის შემდეგ იხეირა.

ისევე, როგორც მერსისაიდულ დერბიში, აქაც ორი ფეხბურთელი გააძევეს მეორე ტაიმში. ჯერ ნაიჯელ რეო-კოკერი მიაბრძანეს, წუთის შემდეგ კი მეკარე სკოტ კარსონიც ტევესის წაქცევისთვის, რასაც პენალტი მოჰყვა. თერთმეტი მეტრიდან უეინ რუნის დარტყმული სტიუარტ ტეილორმა მოიგერია.

ცხრაკაცა „ასტონ ვილას“ მეოთხე გოლი რაიან გიგზმა გაუტანა.

„სიტიმ“ „ვილას“ თანაქალაქელი „ბირმინგემი“ დაამარცხა და საშინაო მატჩებში ასპროცენტიანი შედეგი აქვს „არსენალივით“. ბრაზილიელმა ელანომ პირველი ტაიმის მიწურულს შეაგდო „ბირმინგემის“ კარში და სეზონში მეოთხე გოლი მიითვალა.

ავრაამ გრანტის ხელში „ჩელსიმ“ პრემიერლიგაში მეორე მატჩი მოიგო. ლონდონურმა კლუბმა მიდლსბროში იმარჯვა, სადაც ბოლო ორ სეზონში სამ ქულას ტოვებდა. დიდიე დროგბა, ვინც იანვარში „ჩელსიდან“ აბარგებას აპირებს, მეკარესთან პირისპირ გავიდა და გატანა არ გასჭირვებია. მეორე გოლი კი ბრაზილიელმა მცველმა ალექსმა მიითვალა — 35 მეტრიდან საჯარიმო შეასრულა, ბურთი მცველს შეეხო და გეზნაცვალი შევარდა კარში.

ზედიზედ მესამე შეხვედრაში იმარჯვა „ბლექბერნმა“ და მეექვსე ადგილს უწია. „რედინგის“ დასაჩოქებლად მასპინძლებმა 14 წუთი იკმარეს. მაკარტიმ, სანტა კრუზმა და თუგაიმ უცბად წაუხდინეს სტუმრებს თამაშის ხალისი.

მეორე ტაიმის ბოლოს რედინგელმა კევინ დოილიმ დუბლი შეასრულა, მაგრამ მის გოლებს შორის ბენი მაკარტიმ ერთი ჩაამატა და მასაც დუბლი გამოუვიდა. სტუმართა მწვრთნელმა სტივ კოპელმა ნამატჩევს თქვა: „მარცხი მთლიანად ჩემი ბრალია, ტაქტიკა არასწორად შევარჩიე“.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 9 | 8 | 1 | 0 | 21:6 | 25 |
| მანჩესტერი | 10 | 7 | 2 | 1 | 15:3 | 23 |
| სიტი | 10 | 7 | 1 | 2 | 15:7 | 22 |
| ლივერპული | 9 | 5 | 4 | 0 | 16:5 | 19 |
| პორტსმუთი | 10 | 5 | 3 | 2 | 19:12 | 18 |
| ბლექბერნი | 9 | 5 | 3 | 1 | 13:8 | 18 |
| ჩელსი | 10 | 5 | 3 | 2 | 10:8 | 18 |
| ნიუკასლი | 8 | 4 | 2 | 2 | 13:10 | 14 |
| ასტონ ვილა | 9 | 4 | 2 | 3 | 13:12 | 14 |
| ვესტ ჰემი | 9 | 4 | 1 | 4 | 12:9 | 13 |
| ევერტონი | 10 | 4 | 1 | 5 | 13:13 | 13 |
| რედინგი | 10 | 3 | 1 | 6 | 12:22 | 10 |
| ფულემი | 10 | 1 | 5 | 4 | 12:16 | 8 |
| ბირმინგემი | 10 | 2 | 2 | 6 | 8:13 | 8 |
| უიგანი | 10 | 2 | 2 | 6 | 8:14 | 8 |
| სანდერლენდი | 10 | 2 | 2 | 6 | 11:19 | 8 |
| მიდლსბრო | 10 | 2 | 2 | 6 | 10:18 | 8 |
| ტოტენჰემი | 9 | 1 | 4 | 4 | 16:18 | 7 |
| დერბი | 10 | 1 | 3 | 6 | 5:22 | 6 |
| ბოლტონი | 10 | 1 | 2 | 7 | 9:16 | 5 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ადებაიორი (არსენალი) | 6 |
| მვარუვარი (პორტსმუთი) | 6 |
| ანელკა (ბოლტონი) | 5 |
| ვან პერსი (არსენალი) | 5 |

### XI ტური
27 ოქტომბერი

| | | |
|---|---|---|
| ბირმინგემი | : | უიგანი |
| ბოლტონი | : | ასტონ ვილა |
| ჩელსი | : | სიტი |
| დერბი | : | ევერტონი |
| ლივერპული | : | არსენალი |
| მანჩესტერი | : | მიდლსბრო |
| პორტსმუთი | : | ვესტ ჰემი |
| რედინგი | : | ნიუკასლი |
| სანდერლენდი | : | ფულემი |
| ტოტენჰემი | : | ბლექბერნი |

### ჩემპიონატი. XI ტური

ბარნსლი — ბარნლი 1:1; ბლექპული — კრ. პალასი 1:1; კოლჩესტერი — ვესტ ბრომვიჩი 3:2; ნორვიჩი — ბრისტოლი 1:3; პლიმუთი — ქოვენთრი 1:0; ქუინზ პარკი — იფსვიჩი 1:1; შეფილდი — პრესტონი 1:1; უოტფორდი — ჰალი 1:0; სტოკი — უესდი 2:4; ვულვზი — ჩარლტონი 2:0; სკანთორპი — ლესტერი 0:0; საუთჰემპტონი — კარდიფი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უოტფორდი | 11 | 8 | 2 | 1 | 19:12 | 26 |
| ბრისტოლი | 11 | 5 | 5 | 1 | 17:11 | 20 |
| ჩარლტონი | 11 | 5 | 4 | 2 | 16:12 | 19 |
| ვულვზი | 11 | 5 | 3 | 3 | 13:9 | 18 |
| ვესტ ბრომვიჩი | 11 | 5 | 2 | 4 | 23:14 | 17 |
| პლიმუთი | 11 | 4 | 5 | 2 | 15:12 | 17 |
| ბარნსლი | 11 | 4 | 5 | 2 | 17:15 | 17 |
| სტოკი | 11 | 4 | 5 | 2 | 15:14 | 17 |
| საუთჰემპტონი | 11 | 5 | 1 | 5 | 20:23 | 16 |
| იფსვიჩი | 10 | 4 | 3 | 3 | 16:16 | 15 |
| ქოვენთრი | 11 | 4 | 3 | 4 | 14:15 | 15 |
| სკანთორპი | 11 | 4 | 3 | 4 | 13:14 | 15 |
| კოლჩესტერი | 11 | 3 | 5 | 3 | 22:19 | 14 |
| ბარნლი | 10 | 3 | 5 | 2 | 16:15 | 14 |
| კარდიფი | 11 | 3 | 4 | 4 | 15:15 | 13 |
| ბლექპული | 11 | 2 | 7 | 2 | 14:15 | 13 |
| ლესტერი | 10 | 2 | 6 | 2 | 10:8 | 12 |
| ჰალი | 11 | 3 | 3 | 5 | 13:14 | 12 |
| კრ. პალასი | 11 | 2 | 5 | 4 | 13:13 | 11 |
| პრესტონი | 11 | 2 | 4 | 5 | 12:15 | 10 |
| უესდი | 11 | 3 | 1 | 7 | 13:20 | 10 |
| შეფილდი | 11 | 2 | 3 | 6 | 15:20 | 9 |
| ნორვიჩი | 11 | 2 | 2 | 7 | 6:14 | 8 |
| ქუინზ პარკი | 10 | 1 | 4 | 5 | 9:21 | 7 |

### პირველი ლიგა. XII ტური

ბრაიტონი — ლიდსი 0:1; როვერსი — იოვილი 1:1; კარლაილი — ჯილინგემი 2:0; ქრიუ — ლუთონი 2:0; ჰადერსფილდი — ოლდემი 1:1; ლეიტონი — პორტ ვეილი 3:1; მილუოლი — ბორნმუთი 2:1; ნორთჰემპტონი — ჩელტენემი 2:1; ნოტინგემი — დონკასტერი 0:0; სუინდონი — ტრანმერი 1:0; უოლსოლი — საუთენდი 0:2. სუონსი — ჰარტლპული გადაიდო

### მეორე ლიგა. XII ტური

აკრინგტონი — მაკლსფილდი 3:2; ლინკოლნი — პიტერბრო 1:1; ბრედფორდი — დარლინგტონი 0:0; ბერი — შრიუსბერი 1:1; ჩესტერფილდი — დაგენემი 1:1; ჰერეფორდი — დონსი 0:1; მენსფილდი — ნოტსი 2:0; როჩდეილი — ბრენტფორდი 1:1; როტერჰემი — მორეკემბი 3:1; სტოკპორტი — ჩესტერი 1:2; რექსემი — ბარნეტი 2:0; უიკომბი — გრიმსბი 3:0

### კონფერენსლიგა. XVII ტური

სტივენეიჯი — ბარტონი 3:3; ალდერშოტი — ჰალიფაქსი 1:0; ალტრინჩემი — გრეივსენდი 1:3; კემბრიჯი — სალისბერი 1:1; ქროული — სტაფორდი 1:1; დროილსდენი — ჰისტონი 0:1; ექსეტერი — რაშდენი 2:2; ფორესტ გრინი — ფერსლი 2:2; გრეისი — ნორსვიჩი 3:1; კიდერმინსტერი — ვეიმუთი 0:2; ოქსფორდი — უოქინგი 0:0; იორკი — ტორკი 1:0

# გერმანია
## ბუნდესლიგა X ტური

### ჰანზა 1:1 შალკე

0:1 ასამოა (33), 1:1 შტაინი (56)
**ჰანზა:** ვეხტერი, დ. ლანგენი, სებასტიანი, ორესტესი, მ. შტაინი, ბელოვი (ბაინლიხი 90); რატგები, კერნი, რანი, ჰენგე (დორნი 57), აგალი
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
**შალკე:** ნოიერი, რაფინია, ვესტერმანი, ბორდონი, როდრიგესი, ფ. ერნსტი, ჯონსი, ბაირამოვიჩი (რაკიტიჩი 85), გროსმიულერი, ასამოა (ლარსენი 76), კურანი
მწვრთნელი: მირკო სლომკა
გაფრთხილება: ლანგენი, ბორდონი, კერნი, კურანი, ჰენგე, შტაინი, აგალი
მსაჯი: შიპელი
29 000 მაყურებელი

### ბოხუმი 1:2 ბაიერნი

1:0 გროტე (11), 1:1 რიბერი (35), 1:2 შვაინშტაიგერი (78)
**ბოხუმი:** ლაშტუვკა, კონჩა, მალტრიცი (დრშეკი 82), იაია, პფერცელი, ო. შრიოდერი, ცდებელი (იმჰოფი 25), შესტაკი, გროტე, ბეკმანი, ეპალე (მაისელი 74)
მწვრთნელი: მარსელ კოლერი
**ბაიერნი:** რენსინგი, ლელი, ლუსიო, დემიკელისი, იანსენი, ვან ბომელი, ზე რობერტო, ჰამიტ ალტინტოპი (შვაინშტაიგერი 72), რიბერი (შლაუდრაფი 90), კლოზე (პოდოლსკი 78), ტონი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: კონჩა, ალტინტოპი, მაისელი, კლოზე, გროტე, ვან ბომელი
მსაჯი: ფანდელი
31 328 მაყურებელი

### ჰამბურგი 4:1 შტუტგარტი

1:0, 2:0, 3:0 ოლიჩი (7, 22, 35), 4:0 მატიისენი (59), 4:1 ტასკი (73)
**ჰამბურგი:** ფ. როსტი, ჟ. ბოატენგი, ბ. რაინჰარდტი, მატიისენი, ატუბა, დემელი (ბრეცკო 72), კომპანი, ტროხოვსკი, იაროლიმი (სემი 77), ზიდანი, ოლიჩი (ჩუპო-მოტინგი 62)
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
**შტუტგარტი:** რ. შეფერი, ოსორიო, ტასკი, პიშო, ა. ფარნერუდი, პარდო, ჰილბერტი (პერხტოლდი 57), ხედირა, ბაშთურქი (ბეკი 86), გომესი, ევერტონი (მაისნერი 46)
მწვრთნელი: არმინ ფეე
გაფრთხილება: ოლიჩი, ჰილბერტი, პერხტოლდი
გაძევება: პარდო (45)
მსაჯი: ფლაიშერი
57 000 მაყურებელი

### ლევერკუზენი 2:2 დორტმუნდი

0:1 პეტრიჩი (41), 1:1 გეკასი (52), 1:2 პეტრიჩი (54), 2:2 კისლინგი (86)
**ლევერკუზენი:** რ. ადლერი, კასტრო, სინკევიჩი, მ. ფრიდრიხი, შარპეი (დუმი 81), როლფსი, ვიდალი (ფრაიერი 46), კისლინგი, ბარნეტა, ბარბარესი (პაპადოპულოსი 72), გეკასი
მწვრთნელი: მიხაელ სკიბე
**დორტმუნდი:** ვაიდენფელერი, ფ. დეგენი, კოვაჩი, ბრჟენსკა, დედე, ტინგა, კრუშკა (გორდონი 70), ფედერიკო (ბლაშჩიკოვსკი 60), კრინგე, კლიმოვიჩი (ბაკლი 77), პეტრიჩი
მწვრთნელი: თომას დოლი
გაფრთხილება: ბარბარესი, ტინგა, კისლინგი, დეგენი, ბლაშჩიკოვსკი
მსაჯი: მეიერი
22 500 მაყურებელი

### ვერდერი 3:2 ჰერტა

1:0 უგო ალმეიდა (57), 1:1 ჟილბერტო (61), 2:1 როზენბერგი (62), 3:1 ანდრეასენი (74), 3:2 ოკორონკვო (90)
**ვერდერი:** ვიზე, კ. ფრიცი, მერტესაკერი, ნალდო, პასანენი, ფრინგსი (ბაუმანი 82), დ. იენსენი, ბოროვსკი (ლ. ანდრეასენი 68), დიეგო, სანოგო (როზენბერგი 59), უგო ალმეიდა
მწვრთნელი: თომას შააფი
**ჰერტა:** დრობნი, ფონ ბერგენი, ა. ფრიდრიხი, შიმუნიჩი, ჩაჰედი, დარდაი (პიშჩეკი 74), ფატი, ებერტი, გრანი (მინეირო 85), ჟილბერტო, პანტელიჩი (ს. ოკორონკვო 59)
მწვრთნელი: ლუსიენ ფავრი
გაფრთხილება: ბოროვსკი, გრანი, ფრიცი, ფატი
მსაჯი: პერლი
40 278 მაყურებელი

### ნიურნბერგი 5:1 აინტრახტი

0:1 ტაკაჰარა (12), 1:1 ხარისტიასი (20), 2:1 მინტალი (50), 3:1 მისიმოვიჩი (54), 4:1 მინტალი (64), 5:1 კენედი (82)
**ნიურნბერგი:** ბლაჟეკი, სპირანოვიჩი (გლაუბერი 16), ბეჩამპი, გალაშეკი, დ. რაინჰარდტი (რ. შმიდტი 81), მნარი, კლუგე, მისიმოვიჩი, მინტალი, კრისტიანსენი, ხარისტიასი (კენედი 55)
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
**აინტრახტი:** პრიოლი, პ. ოხსი, რუსი, კირიაკოსი, შპიხერი, მ. ფინკი, ინამოტო, ა. შტრაიტი, ა. მეიერი, ტაკაჰარა, ამანატიდისი
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
გაფრთხილება: ინამოტო, პრიოლი
მსაჯი: ვაინერი
45 050 მაყურებელი

### კოტბუსი 1:2 დუისბურგი

0:1 შლიკე (7), 1:1 როსტი (67), 1:2 გრლიჩი (74)
**კოტბუსი:** პიპლიცა, და სილვა, ი. მიტრესკი, კუკიელკა, ცვიტანოვიჩი (ციბიგი 84), ბასილა (რივიჩი 46), ს. ანგელოვი (ტრიტკო 81), ტ. როსტი, შკელა, რანგელოვი, დ. სორენსენი
მწვრთნელი: ბოიან პრაშნიკარი
**დუისბურგი:** შტარკე, ლამეი, ნდუმი, შლიკე, ვებერი, გრლიჩი, ტარარახე, ტიფერტი (მიოლდერსი 90), იდრისუ, იშიაკუ (მაიკონი 80), აილტონი (დაუნი 65)
მწვრთნელი: ედუარდ ბომერი
გაფრთხილება: ბასილა, გრლიჩი, მიტრესკი, იშიაკუ, ანგელოვი, დაუნი
მსაჯი: გაგელმანი
14 853 მაყურებელი

### ჰანოვერი 2:2 ვოლფსბურგი

0:1 მარსელინიო (21), 1:1 ჰინტო (28), 1:2 დეჯაგა (29), 2:2 ტარნატი (34)
**ჰანოვერი:** ენკე, ჩერონდოლო, ვინისიუსი, ფარენჰორსტი, ტარნატი, ბალიტჩი (ლალა 84), კ. შულცი, როზენტალი (შტაინერი 79), ს. ჰინტო, ჰუშტი (ლაუტი 69), ჰანკე
მწვრთნელი: დიტერ ჰეკინგი
**ვოლფსბურგი:** იენჩი, რიტერი, შიმუნეკი, მადლუნგი, მ. შეფერი, ტიამი (კიროგა 59), ჟოსუე, დეჯაგა (გენტნერი 80), მარსელინიო, კრჟინოვეკი (მუნტიანუ 46), გრაფიტე
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: გრაფიტე, შეფერი
მსაჯი: შტარკი
37 812 მაყურებელი

### კარლსრუე 0:0 არმინია

**კარლსრუე:** მ. მილერი, ა. გიორლიცი, ეგიმენი, ფრანცი, აიხნერი, მუტცელი, პორკელიო, ტიმი (კაპლანი 63), ჰაინალი, იაშვილი (კარნელი 63), ფრაისი
მწვრთნელი: ედმუნდ ბეკერი
**არმინია:** ჰაინი, კირხი, კუჩერა, ლანგკამპი, მულერი, კაუფი, ტესკე (ნ. ფიშერი 90), ბიომე (ტ. მარქსი 61), მასმანიდისი, აიგლერი, ვიშნიარეკი (კამაჩაიასი 57)
მწვრთნელი: ერნსტ მიდენდორპი
გაფრთხილება: ფრანცი, კაუფი, პორკელიო
მსაჯი: რაფატი
27 361 მაყურებელი



ჰეთთრიქოსანი ივიცა ოლიჩი

# ივიცა გოლიჩი

„ბაიერნი" კვლავაც დაუმარცხებელია, თუმც „ბოხუმთან" 25 წუთის განმავლობაში აგებდა. დენის გროცემ ისეთი გოლი გაუტანა მიხაელ რენსინგს, კარში ოლივერ კანიც რომ მდგარიყო, მაინც ვერ მოიგერიებდნენ. 21 წლის ბოხუმელმა ფორვარდმა ცაციით ჩაახვია ბურთი — თითქოს კარს სცდებოდა, მარჯვენა მაღალ კუთხეში კი შებზრიალდა.

ფრანკ რიბერი თვეზე მეტ ხანს ჩრდილში იყო, მაგრამ „ბაიერნს" რომ გაუჭირდა, ისევ გაიბრწყინა. კლოზეს პასით, ქუსლით შეაგორა ბურთი — მეკარე იან ლაშტუვკა გაოგნებული დატოვა.

მეორე ტაიმში შეცვლაზე შესულმა ბასტიან შვაინშტაიგერმა კი რიბერის პასი შეირგო და ათი მეტრიდან გაიტანა. გახარებულ შვაინშტაიგერს გაავებულმა ბოხუმელმა ფანმა ბოთლი ესროლა და ააცილა. „ბოხუმმა" სეზონში შინ პირველად წააგო, „ბაიერნმა" კი ზედიზედ მეხუთე მოიგო.

უკან-უკან მიდის ჩემპიონ „შტუტგარტის" საქმე. ბუნდესემმაკიც ვერ გაარკვევს, რა ხდება გუნდის დაცვაში — ბოლო ოთხ შეხვედრაში ათი გოლი გაუშვა. „ჰამბურგმა", უფრო ზუსტად კი ივიჩა ოლიჩმა, 26 წუთში დაამთავრა მატჩი. ხორვატმა ფორვარდმა ჰეთ თრიქი მიითვალა. ჯერ მეკარესთან პირისპირ გასულმა გაიტანა, მომდევნო ორი გოლისას კი მეკარეც არ იდგა კარში — რაფაელ შეფერი „დროებით გასული" იყო. „შტუტგარტის" გოლკიპერს საკუთარი მცველების დაბნეულობა გადაედო და აიჭრა. მეოთხე გოლი იორს მატიისენმა თავით შეაგდო. ამ მომენტისთვის „შტუტგარტი" ათი კაცით თამაშობდა, რადგან პირველი ტაიმის მიწურულს კაპიტანი პაველ პარდო გაუძევეს უხეშობისთვის. პირქვე წაქცეულ დავიდ იაროლიმს პარდომ მუცელში წიხლი ორჯერ ამოჰკრა.

